# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 12 აგვისტო 2005 №183 (2506) ფასი 50 თეთრი


# მალხაზ ასათიანის ყაზახეთი საეჭვოა



მალხაზ ასათიანის ყაზახეთის ნაკრებთან თამაში ძალიან საეჭვოა. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი გუშინწინ, ვენის „რაპიდთან" საჩემპიონთალიგო მატჩში დაშავდა და ექიმებმა ერთკვირიანი მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. ასათიანმა „რაპიდთან" სრულად კი ითამაშა, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. მოკლედ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა საყაზახეთოდ მნიშვნელოვანი ძალა დაკარგა — სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ასათიანი მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული გუნდის საუკეთესო ბომბარდირია თურქეთთან, დანიასთან და საბერძნეთთან გატანილი სამი გოლით.



## მეფე მეფის პირისპირ

დიეგო ტელეშოუს იწყებს

6



## კლინსმანმა კანი და ლემანი გააჯვარა

6




HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships

## ჯასტინ გატლინის მეორე ოქრო

3



შიო ხეცურიანსა და მის თანაგუნდელებს მეტოქეებთან ხელდახელ შებმაც მოუხდათ

# საქართველო და თურქეთი: -29 და ზედაც დაკა-დაკა

46:75 — საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა იტალიურ კურორტ ბორმიოში თურქეთთან მარცხით დაიწყო ოთხთა ტურნირი, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობენ იტალია და ბულგარეთი. იტალიასთან მანამდელი, 64-ქულიანი მარცხის მსგავსად, გორდონ ჰერბერტის შეგირდების თურქებთან 29-ქულიანი წაგებაც არ იყო დიდი მოულოდნელობა, მით უფრო, რომ ჩვენი მეზობლები სრული შემადგენლობით თამაშობდნენ (თურქოღლუ, თურქჯანი, ოქური და სხვანი), ხოლო ჰერბერტს კვლავაც აკლდა 5-6 წამყვანი მოთამაშე. შეხვედრის დასაწყისი დაძაბული და თანაბარი იყო და ქართველებმა პირველი მეოთხედის არწაგება შეძლეს — 15:15, თუმც მეორე 10-წუთეული მეტოქეს მთლიანად აჩუქეს (2:22) და ყველაფერი დიდ შესვენებამდე გადაწყდა. მატჩი არ დამთავრებულა — სათამაშო დროის ამოწურვამდე წუთიც არ რჩებოდა, რომ ჩვენებურ შიო ხეცურიანსა და თურქ შოლაქს შორის ჩხუბი ატყდა, რომელიც მალე გუნდურ დაკა-დაკად იქცა. გუნდების თავკაცებთან მოთათბირების შემდეგ მატჩის არბიტრებმა თამაში 75:46 ანგარიშზე დაამთავრეს.

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# ყაზახეთს კუჩმას იმედი აქვს

**ყაზახეთის** ეროვნული ნაკრები საქართველოსთან სათამაშოდ 22 ფეხბურთელით აგრძელებს მზადებას. სერგეი ტიმოფეევის გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა და ახლა სწორედ ამის თაობაზე მოგახსენებთ დაწვრილებით.

პირველი და უმთავრესი ის გახლავთ, რომ ქართველებთან ვერ ითამაშებს ყაზახთა ლიდერი და კაპიტანი რუსლან ბალტიევი — იაროსლაველის „შინიკის" ნახევარმცველი დისკვალიფიცირებულია.

არ იქნება ბალტიევი, მაგრამ აუცილებლად ითამაშებს ყაზახეთის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ალექსანდრ ფამილცევი რუსული „ტომიდან".

ჩვენი ყაზახი კოლეგების ყურადღება კი ყველაზე მეტად ნაკრებში ალექსანდრ კუჩმას გამოჩენამ მიიპყრო და აი, რატომ: ერთ დროს ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა სამშობლო 90-იანი წლების ბოლოს დატოვა და საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. ცოტა ხანს იქაურ ობერლიგაში წაითამაშა, მერე კი პოლონეთში გადაბარგდა, სადაც ხოჟუვის „რუხში" მოეწყო და დღემდე მის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება.

კუჩმას გარდა ყაზახეთის ნაკრებში, სავარაუდოდ, კიდევ ოთხ ფეხბურთელს ექნება დებიუტი ქართველებთან მატჩში. ესენი არიან ახალგაზრდული ნაკრებიდან გადაყვანილები — მცველი მაქსიმ ზუევი, ნახევარმცველები, ნიკიტა ხოხლოვი და ალექსეი შაკინი და ფორვარდი დანიარ კენჟეხანოვი. ამასთანავე ტიმოფეევმა გუნდში დააბრუნა ცოტა ხნის წინ რატომღაც მოძულებულნი — მცველი ფარხადბეკ ირისმეტოვი, ნახევარმცველი ნურბოლ ჟუმასკალიევი და ტომით ქართველი მეკარე დავით ლორია.

გუნდშია ტრავმამოშუშებული ანდრეი კარპოვიჩიც, რომელმაც ბოლო ორივე თვე მკურნალობას მოანდომა.

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| იური ნოვიკოვი | ირტიში | 22/-40 |
| დავით ლორია | შახტიორი | 3/-5 |
| **მცველები** | | |
| ალექსანდრ ფამილცევი | ტომი, რუსეთი | 26/0 |
| იგორ ავდეევი | შახტიორი | 26/6 |
| სამატ სმაკოვი | კაირატი | 24/0 |
| ფარხადბეკ ირისმეტოვი | კაირატი | 5/0 |
| მაქსიმ ზუევი | ვოსტოკი, რუსეთი | 0/0 |
| ალექსანდრ კუჩმა | რუხი, პოლონეთი | 0/0 |
| **ნახევარმცველები** | | |
| ანდრეი კარპოვიჩი | კაირატი | 17/2 |
| მაქსიმ ნიზოვცევი | ტობოლი | 13/1 |
| ნურბოლ ჟუმასკალიევი | ტობოლი | 10/2 |
| ანტონ ჩიჩულინი | ჟენისი | 7/0 |
| მაკსატ ბაიჟანოვი | ირტიში | 4/0 |
| სერგეი ლარინი | ალმათი | 2/0 |
| ანდრეი ტრავკინი | ალმათი | 2/0 |
| მაქსიმ აზოვსკი | ალმათი | 1/0 |
| ნიკიტა ხოხლოვი | ჟენისი | 0/0 |
| ალექსეი შაკინი | ვოსტოკი, რუსეთი | 0/0 |
| **თავდამსხმელები** | | |
| ოლეგ ლიტვინენკო | ალმათი | 21/6 |
| დენის როდიონოვი | ატირაუ | 6/0 |
| ალექსანდრ კროხმალი | ორდაბასი | 2/0 |
| დანიარ კენჟეხანოვი | ვოსტოკი, რუსეთი | 0/0 |



საქართველოს ნაკრებთან მატჩში ყაზახ ფეხბურთელებს გულშემატკივრების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვთ



# რეჰაგელი და დებიუტები

**17 აგვისტოს** სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებები ამხანაგურ მატჩებს ატარებენ, მათ შორისაა ევროპის ჩემპიონი საბერძნეთიც. ოტო რეჰაგელის გუნდი ბრიუსელში ბელგიას ეთამაშება. ჰერ ოტომ საამხანაგოდ ოცი ფეხბურთელი შეარჩია, აქედან ოთხი დებიუტანტია — მიხაილ სიფაკისი, ევანგელოს მორასი, დიმიტრის სალპინგიდისი და ნიკოს ლიბეროპულოსი.

*მეკარეები: ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), მიხაილ სიფაკისი (კრიტი);*

*მცველები: იურკას სეიტარიდისი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), ტაკის ფისასი (ჰარტსი, შოტლანდია), მიხალის კაპსისი (ოლიმპიაკოსი), სოტირის კირიაკოსი (პანათინაიკოსი), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), ლუკაშ ვინტრა (პანათინაიკოსი), ევანგელოს მორასი (აეკ);*

*ნახევარმცველები: გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია), კოსტას კაცურანისი (აეკ), ვასილის ლაკისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), თეოდოროს ზაგორაკისი (პაოკ), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), პანტელის კაფესი (ოლიმპიაკოსი);*

*თავდამსხმელები: ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), ანგელოს ხარისტეასი (აიაქსი, ჰოლანდია), დიმიტრის სალპინგიდისი (პაოკ), ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკ).*

## უეფას თასი 2005-2006

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ოფკ 2:1 ლოკომოტივი (პლ)
ინტერი (ხორ) 1:3 ცრვენა ზვეზდა
დინამო (ბძ) 3:1 ომონია
ლიტექსი 1:0 რიეკა
აპოელი 1:0 მაკაბი (თ.ა)
ვადუცი 0:1 ბეშიქთაში
პუბლიკუმი 1:0 ლევსკი
ზეტა 0:1 შიროკი ბრიეგი
აშდოდი 2:2 დომჟალი
კრილია 2:0 ბატე
გრასჰოპერი 1:0 პლოცკი
სოპრონი 0:3 მეტალურგი (დ)
ნისტრუ 0:2 გრაცერი
ჟილინა 1:2 ავსტრია
პაშინგი 2:2 ზენიტი
გროცლინი 4:1 ბ. ბისტრიცა
მტზ რიპო 1:2 ტეპლიცე
ბანანცი 2:4 დნიპრო
ლეგია 0:1 ციურიხი
მიდტიულანდი 2:1 ტორსჰავამი
ჰალმშტადი 1:1 ლიმფილდი
რილი 0:1 ვიკინგი
მეტალურგსი 2:3 გენკი
კოპენჰაგენი 2:0 კარმარტენი
მიუპა 0:0 დანდი იუნაიტედი
იურგორდენი 1:1 კორკი
მაინცი 2:0 კეფლავიკი
ესბიერგი 0:1 ტრომსიო

## რუსეთი

თასი
დინამო 4:0 დინამო (ბრ)
მოსკვა 2:2 დინამო მახაჩკალა

## ისლანდია

პრიმერადივიზიონი
XIII ტური
აკრანესი 1:2 ვალური

## ირლანდია

პრემიერლიგა. XX ტური
ბოჰემიანსი 1:0 ბრეი

თბილისის „დინამო" უსამძიმრებს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ კაკულიას
**მამის**
გარდაცვალების გამო

ჭიათურის „მაღაროელი" სამძიმარს უცხადებს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ კაკულიას
**მამის**
გარდაცვალების გამო

# ერთი კაცის გუნდისა არ მწამს

## დავით სირაძე: აქ რასაც ვხედავ, ზამთარში გერმანიას ვხედავ

*თბილისის „ლოკომოტივიდან“ ამ ზაფხულს რამდენიმე მოთამაშე წავიდა, მაგრამ გუნდი დასუსტდაო, არავის უთქვამს, თუნდაც იმიტომ, რომ რკინიგზელებმა გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე დავით სირაძე შეიმატეს. თუმცა 24 წლის ნახევარმცველი ჯერჯერობით ერთი რიგითი ფეხბურთელია, რომელმაც ვერც სომხურ „ბანანცთან“ და ვერც ჩემპიონატში თავი ვერ გამოიჩინა. რატომ? ამაზე თავად დათოს ველაპარაკეთ და, ცხადია, ისევ გერმანიაში შესაძლო დაბრუნებასაც შევეხეთ...*

— „ბანანცთან“ წაგება კოშმარი იყო, ასეთებს იოლად ვერ მოინელებ. სომხებთან რომ არ შევრცხვენილიყავით, დღეს ჩემპიონატში ორი კი არა, ექვსი ქულა გვექნებოდა. ისე, ქუთაისში „ტორპედოსთან“ მოგებას რაღა აკლდა... სამჯერ ძელს გავარტყით ბურთი, ერთხელ კი ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, მაგრამ გოლი არ ჩაგვითვალეს.

— და როდემდე გაგყვებათ ეს შოკი?

— ვფიქრობ, ერთი მოგება და ყველაფერი აეწყობა.

— ნოდარ აკობიამ სეზონის წინ თქვა, არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს თბილისის „დინამო“ უკვე ჩემპიონიაო. აკობიამ, ალბათ, „ლოკომოტივიც“ იგულისხმა ჩემპიონობისთვის მებრძოლებში და როგორ ატყობ, შეგიძლიათ ამის გაკეთება?

— ვფიქრობ, შეგვიძლია. ნელნელა შევალთ ფორმაში, ბევრი ახალგაზრდა გვყავს და გამოცდილი მოთამაშეებიც დაგვემატნენ: თუნდაც მეკარე გია ჭანტურია და ედიკ საჯაია. ჩემპიონობა თუ არა, „ლოკომოტივს“ იმის ძალა მაინც შესწევს, მაღალი ადგილებისთვის იბრძოლოს. „დინამო“ კი მაინც ყველაზე ძლიერია, მაგრამ სხვა გუნდებს და მთლიანად ჩემპიონატის დონეს რომ ვუყურებ, აქედან გამომდინარე მაინც რეალურად ვფიქრობ მაღალ ადგილებზე.

— „ლოკომოტივის“ წინსვლა დიდწილად შენზეა დამოკიდებული, მაგრამ ჩვეულად ვერა და ვერ ათამაშდი. რა არის მიზეზი?



ბადრი ... ფოტო

— სათამაშო პრაქტიკის უქონლობა მაინც მეტყობა, „[illegible]“ ხომ არცთუ ხშირად მიწევდა მინდორზე გასვლა. ისე, ერთი კაცის გუნდისა არ მწამს, ყველაფერი მარტო ჩემზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ეჭვი არ მეპარება, ნელნელა მოვუმატებ.

— ამ სეზონის წინ თქვი, არაა გამორიცხული, ექვსი თვის შემდეგ ისევ გერმანიაში დავბრუნდეო...

— აქ ჩამოსვლა რამდენიმე ფაქტორმა გადამაწყვეტინა: ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივა მეზრდებოდა, რადგან ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობაა და ახალი კურსი აქვს აღებული. თან ოჯახმაც თბილისში დარჩენა მოხოვა. თუმცა როგორც ვატყობ, ზამთარში ისევ გერმანიაში წავალ. ისე, შემეძლო, დღესაც იქ მეთამაშა. მეორე ბუნდესლიგის აუე-ში გადასვლას კონტრაქტზე ჩემი ხელმოწერაღა აკლდა...

**ილია ნანოგაშვილი**



# გოჩა ხოჯავა: გამთამაშებელიც ვარ და მთამაშებელიც

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა საყაზახეთო შემადგენლობა რომ გამოაცხადა, ბევრს გაუკვირდა — 21-წლამდელებში რატომღაც გოჩა ხოჯავას ადგილი არ გამოინახა. არადა, ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე და, თამამად შეიძლება ითქვას, ლიდერი ახლა მართლაც კარგ ფორმაშია.

გოჩა ხოჯავა რუსული პრემიერლიგის „როსტოვში“ ამ ცოტა ხნის წინ გადავიდა კვიპროსული „ანართოსისიდან“. „როსტოვს“ ახლა ახალი მწვრთნელი ჰყავს — სერგეი ბალახნინი — და ჩანს, იგი ჩვენებურს კარგი თვალით უყურებს.

გოჩას გუშინ როსტოვში შევეხმიანეთ...

— გმადლობთ მოკითხვისთვის. ბოლო მატჩში იმიტომ ვერ ვითამაშე, რომ სიცხიანი ვიყავი, ღვთის მადლით, ახლა კარგად ვარ.

— „როსტოვს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, სერგეი ბალახნინი...

— ბალახნინი დანიშნეს თუ არა, ფეხბურთელები სათითაოდ ოთახში შეგვიყვანა და გველაპარაკა.

— შენ რა გითხრა?

— განსაკუთრებელი არაფერი. კარგი ბიჭი ხარ, კარგი მონაცემებიც გაქვს და შენი ძალიან მეიმედებაო. ჯერჯერობით ვგრძნობ, რომ კარგი თვალით მიყურებს და ძირითადისთვის ვუნდივარ, დანარჩენი კი ჩემი გასაკეთებელია.

— ამპლუას ხომ არ გიცვლის?

— არა, ისევ გამთამაშებელი ვიქნები.

— დინამოელი კახა ალადაშვილი უნდა ჩამოსულიყო „როსტოვში“ და ეს ტრანსფერი საბოლოოდ ჩაიშალა?

— ასე გამოდის. რუსეთში სატრანსფერო სეზონი გუშინ დაიხურა და ალადაშვილის სატრანსფერო ფურცელმა ვერ ჩამოასწრო. არ ვიცი, რა და როგორ მოხდა, მაგრამ ფაქტია, სამწუხაროდ, კახა „როსტოვში“ არ არის. არადა, ლატვიაში რომ ვაპირებდით შეკრებაზე წასვლას, ალადაშვილიც უნდა წამოსულიყო.

— არ არის ალადაშვილი, მაგრამ გვერდში გყავს მიხეილ აშვეთია...

— მყავს და, ბუნებრივია, ვმეგობრობთ. მე, მიხო, მაქსიმ ბუზნიკინი და „როსტოვის“ კაპიტანი ანდრეი ოსინოვი თითქმის სულ ერთად ვართ. საერთოდ, „როსტოვი“ ძალიან მეგობრული გუნდია.

— „როსტოვში“ კვიპროსული „ანართოსისიდან“ შენი სურვილით წამოხვედი თუ თემურ ქეცბაიამ გამოგიშვა?

— ჩემი სურვილით წამოვედი.

— როდემდე დარჩები „როსტოვში“?

— კლუბის უფროსობასთან ასე ვარ შეთანხმებული: თუ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას გადაურჩება, მაშინ, სულ ცოტა, ერთი წელი დავრჩები, თუ არადა, წავალ, არ დამაკავებენ.

— ნაკრებზეც ვთქვათ. კობა ჟორჟიკაშვილის საყაზახეთო სიაში შენ არ ხარ...

— სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამ.

— მერე, გული არ დაგწყდა?

— რა თქმა უნდა, დამწყდა. ვფიქრობ, რომ ახლა კარგ ფორმაში ვარ. ჩემს გუნდთან ერთად სამკვირიანი მზადების ეტაპიც საფუძვლიანად გავიარე და ბალახნინიც ძირითადში მათამაშებს. მაგრამ ეგ არაფერი, გოჩა ხოჯავას დასამტკიცებელი არავისთან არაფერი აქვს, იგი ნამდვილ ფეხბურთის კლუბშიც ითამაშებს და ნაკრებშიც.

**გიორგი გაზაძიძე**

# რეხვიაშვილი სიმბოლურად ნაკრებშია

**ლატვიის** ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა და იქაური ფეხბურთის სპეციალისტებმაც სიმბოლური ნაკრები შეადგინეს. საინტერესოა, რომ სიმბოლურში ერთადერთი ქართველი მოხვდა — „ვენტსპილსის“ კაპიტანი ალექსანდრე რეხვიაშვილი, ვინც ბოლო ტურში დაშავდა და ახლა მკურნალობს.

პირველი წრის სიმბოლური ნაკრები მხოლოდ სამი კლუბის ფეხბურთელებით დაკომპლექტდა — ექვსი წარმომადგენელი ჰყავს ვათამაშების ლიდერ ლიეპაიას „მეტალურგსს“, სამი ფეხბურთელი „სკონტოდანაა“, ხოლო ორი „ვენტსპილსიდან“.

პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელი კი „მეტალურგსის“ მცველე ვიქტორ დობრეცოვი გახდა.

შეგახსენებთ, რომ რეხვიაშვილის გარდა ლატვიაში კიდევ შვიდი ქართველი თამაშობს — ლევან კორღალიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, ზაალ ელიავა, დავით ჩალაძე, გოგა მოდებაძე, ლევან მიქაძე და თამაზ პერტია.

**კახა ზალამბერიძე**



ალექსანდრე რეხვიაშვილს (მარჯვნივ) ლატვიაში სიტყვა ეთქმის



ზესტაფონის „ცენტრალურზე“ მიმდინარე სამუშაოები უკვე დასრულდა

# მინდორია, ავ თვალს არ ენახვებაო

## ზესტაფონი დინამოს ქუთაისში ან თბილისში „უმასპინძლებს“

**მიუხედავად** იმისა, რომ „ზესტაფონს“ შარშანდელი სეზონის შემდეგ შემადგენლობა შეუთხელდა და ახალდაწყებულ ჩემპიონატში ერთი მარცხი უკვე იწვნია, იმერელ გულშემატკივრებს ფეხბურთისადმი ინტერესი არ განელებიათ — მით უმეტეს, სამი ზესტაფონელი უკვე ეროვნულ ნაკრებშია, ხუთი კი ახალგაზრდულ ნაკრებში. ბარემ აქვე ვიქვათ, რომ ჯაბა კანკავას იმერულ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ახალი არაფერია.

ახალი ამბავი ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე ბალახის დაგება — სამუშაოები უკვე დასრულებულია. გუშინ კლუბის პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძემ გვაცნობა, რომ გაზონი თურქული ფირმა „ციმექსისაა“, ხოლო მინდვრის მორწყვის სისტემა ამერიკული „რეინ ბიორდისა“, რომელიც შარშან პორტუგალიაში გამართულ ევრო 2004-ზე რვა ქალაქში გამოიყენეს. მთლიანად ამ პროექტის ავტორი კი აგრონომი ლევან ცხოვრებაშვილია.

ერთი სიტყვით, მინდორი უკვე მზადაა. გარდა ამისა, მინდვრის მიღმაც, სტადიონის ღობემდე ხელოვნური საფარი იგება...

შეგახსენებთ, ზესტაფონში ერთი ხელოვნურსაფარიანი მინდორიც კეთდება და უკვე დაიწყო დრენაჟის გაწყობა, საფარი კი უკვე ზესტაფონშია... ამ ხელოვნურსაფარიანი მოედნის ირგვლივ 1500-კაციანი ტრიბუნები აშენდება და ჩემპიონატის მატჩებიც გაიმართება. სავარაუდოდ, ამ სტადიონზე ითამაშებს „ზესტაფონის“ ფარმ-კლუბი, რომელსაც კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის.

ისევ ცენტრალურ სტადიონზე ვთქვათ: ბალახი კია დაგებული, მაგრამ იქ თამაში დაახლოებით ერთი თვის შემდეგ თუ იქნება შესაძლებელი. ფუტკარაძის თქმით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ პირველი მატჩი „ცენტრალურზე“ 10 სექტემბერს ჩატარდება — ამ დღეს „ზესტაფონი“ თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებს.

მანამდე კი ფეროელებს ჩემპიონატში ერთი საშინაო მატჩი უწევთ 20 აგვისტოს თბილისის „დინამოსთან“. როგორც შევიტყვეთ, ეს შეხვედრა ქუთაისში ან თბილისის რომელიმე სტადიონზე გაიმართება. რაც შეეხება „ცენტრალურის“ ტრიბუნების რეკონსტრუქციას, კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მომავალი ზაფხულისთვის ყველაფერი დასრულებული იქნება...

**ილია ნანოზაშვილი**

# ყველა ნახეს და მე რაღა დავაშავე?

## აკაკი ხუბუტია: რომანოვმა ინგლისურის სწავლა დამავალა

*ლიტვურ „კაუნასში“, რომელმაც ახლახან ინგლისურ „ლივერპულთან“ საჩემპიონთალიგო მატჩები ითამაშა, ორი ქართველია — გივი კვარაცხელია და ნუკრი მანჩხავა. თუმცა კაუნასელებს კიდევ ერთი ჩვენებური, 19 წლის მცველი აკაკი ხუბუტია ეკუთვნით, ოღონდ იგი ლიტვის ჩემპიონატის მეექვსეადგილოსან „შილუტეში“ ჰყავთ განათხოვრებული და, როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, სეზონის ბოლოს ისევ „კაუნასში“ დააბრუნებენ...*

„სეზონის დასაწყისში კაუნასელებმა ჩემპიონატის აუტსაიდერ „ნევეჟისში“ გამანათხოვრეს, სადაც ყველა მატჩი ვითამაშე და შეფასებებიც მაღალი მქონდა. როგორც იცით, „კაუნასის“ პრეზიდენტი ცნობილი ვლადიმირ რომანოვია, იგი მუდმივად მაქებს, მაკვირდება და ამჯერად „შილუტეში“ გამიშვა, „ნევეჟისისთვის“ ცოდო ხარო. ისე, მუდმივად „კაუნასში“ ვვარჯიშობ, კაუნასთან შილუტე ახლოსაა და პრობლემა არ მექმნება“.

ხუბუტია ირწმუნება, რომანოვმა ინგლისურის სწავლა დამავალა — გაისად ზაფხულში შოტლანდიური „ჰარტსისთვის“ მინდიხარო (რომანოვი ამ კლუბის მფლობელიცაა). თუმცა ბრიტანულ კლუბში მისაწყობად ნაკრებში თამაშების 75 პროცენტის დაგროვებაა საჭირო და აკაკისაც ეს აშფოთებს.

„რომანოვსაც და „კაუნასის“ მწვრთნელებსაც უკვირთ, რატომ არ მიძახებენ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. ისიც მითხრეს, ლიტველი რომ იყო, ჩვენს ახალგაზრდულში მოხვედრის პრობლემა არ გექნებოდაო. გული მწყდება, 16, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში მითამაშია, ჩემი თაობის ბევრ ფეხბურთელს მოურგეს ახალგაზრდულის მაისურა, მე კი გამრჩე ვრჩები. არც გოჩა ტყებუჩავასთან და არც კობა ჟორჟიკაშვილთან არანაირი კონფლიქტი არ მქონია, მაგრამ მათგან დაინტერესებას მაინც ვერ ვღირსე“ — გულდაწყვეტილია ხუბუტია.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ნაკრები საიუთო თემაა და არჩევან მწვრთნელი აკეთებს. ცხადია, ახალგაზრდულ ნაკრებში ფეხბურთელი მხოლოდ იმიტომ არ უნდა გამოიძახო, რომ მას „ჰარტსში“ გადასვლის პერსპექტივა აქვს.

ეს ისე, სასხვათაშორისოდ, თორემ კობა ჟორჟიკაშვილის გადასაწყვეტია, ღირსია თუ არა აკაკი ხუბუტია ახალგაზრდულ ნაკრებში სათამაშოდ.

**ილია ნანოზაშვილი**



# ვაშაკიძემ, იქნებ სულაც წავიდეო

**ირაკლი ვაშაკიძე** ფეხბურთს დაეთხოვა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მცველმა სასურველი კლუბი ვერა და ვერ იპოვა. 29 წლის ვაშაკიძეს ისრაელიდან და აზერბაიჯანიდან მიუღია წინადადებები, თუმც, როგორც თავად გვითხრა, ერთობ არასერიოზული, მოგვიანებით მას ბოლნისის „სიონი“ და „ზესტაფონიც“ იწვევდნენ, მაგრამ ფეხბურთელი მათთან პირობებზე ვერ შეთანხმდა.

„არ ვიცი, როდემდე გაგრძელდება ჩემი უქმობა, არ გამოვრიცხავ, კარიერა საერთოდაც დავასრულო. ვნახოთ, ჯერჯერობით შინ ვარ და ოჯახის საქმეებს ვაგვარებ“ — გვითხრა ირაკლიმ.

**გიორგი მაზაკიძე**

საქართველოს XVII ჩემპიონატი

პირველი ლიგა

პირველი წრე

1 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# პირველის პირველი დაიწყო

**გუშინ** პირველი ლიგა დაიწყო, ტურის ორი მატჩი გაიმართა და ორივე თბილისში. გლდანში, „ამერის“ სტადიონზე ნუგზარ ბოჯგუას გაწვრთნილმა „ამერი 2“-მა „ზუგდიდს“ გეგი გარუჩავასა და ბესიკ ჩიმაკაძის გოლებით 2:0 მოუგო, ხოლო „ლოკომოტივი 2“-მა „დინამო 2“-ს 1:0 აჯობა, „მეშახტესა“ და „ზესტაფონი 2“-ის შეხვედრა კი გადაიდო.

პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები დღეს და ხვალ შედგება:

12 აგვისტო

ჩიხურა – ლიახვი

გურია – თბილისი 2

რუსთავი – ვიტ ჯორჯია 2

მერანი – გაგრა

მესხეთი – მეშაქრე

13 აგვისტო

მალაროელი – საგარეჯო

შეგახსენებთ, უმაღლესი ლიგის დარად, გუნდების რაოდენობა პირველ ლიგაშიც გაიზარდა — 16-ის ნაცვლად 18 კლუბია, ფარმ-კლუბებს კი უმაღლეს ლიგაში გადასვლის უფლება არა აქვთ.



„ამერი 2“ — „ზუგდიდი“ 2:0.
სტუმრებს პირველი გოლი გეგი გარუჩავამ (№12) გაუტანა

# ჩემპიონთა ლიგა 2005–2006

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# ლიგის მაყურებელი ლიგაში ბრუნდება




ცსკა — ლივერპული. ჯიბრილ სისემ სტუმრები დააწინაურა

AFP სოფიიდან



რაფაელ ბენიტესი

**რაპიდი (ავსტრია) 1:1 ლოკომოტივი (რუსეთი)**

0:1 სამედოვი (10), 1:1 ვალახოვიჩი (75პ)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, სენნიკოვი, გურენკო, ბიკეი, **ასათიანი**, სამედოვი (პაშინინი 77), მამინოვი, ლიმა, ხოხლოვი (ევსეევი 90), ბილიალეტდინოვი, ლებედენკო (რუპოლო 82)

მწვრთნელი: ვლადიმირ ეშტრეკოვი

**ცსკა (ბულგარეთი) 1:3 ლივერპული (ინგლისი)**

0:1 ჯ. სისე (25), 0:2 მორიენტესი (31), 1:2 დიმიტროვი (45), 1:3 მორიენტესი (58)

**მალმიო (შვედეთი) 0:1 თუნი (შვეიცარია)**

0:1 პიმენტა (34)

**ბაზელი (შვეიცარია) 2:1 ვერდერი (გერმანია)**

1:0 დეჟენი (27), 2:0 როსი (52), 2:1 კლოზე (73)

**სპორტინგი (პორტუგალია) 0:1 უდინეზე (იტალია)**

0:1 იაკინტა (29პ)

**შახტარი (უკრაინა) 0:2 ინტერი (იტალია)**

0:1 მარტინსი (68), 0:2 ადრიანო (78)

**სტიაუა (რუმინეთი) 1:1 რუსენბორგი (ნორვეგია)**

1:0 იაკობი (30), 1:1 ჰელსტადი (84)

**პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 0:0 პარტიზანი (სერბეთი)**

**ბრონდბიუ (დანია) 2:2 აიაქსი (ჰოლანდია)**

0:1 როზენბერგი (34), 1:1 სკუბო (34), 1:2 რ. ბაბელი (75), 2:2 ესკუდე (90 ს.კ.)

**ანდერლეხტი (ბელგია) 2:1 სლავია (ჩეხეთი)**

1:0 გოორი (6), 1:1 ლ. იაროლიმი (20), 2:1 მ. მპენზა (38)

**ჯიბრილ სისეს** შეურაცხყოფის გამო სოფიის ცსკა-ს უეფა მალე სასჯელს გამოუწერს. ბულგარელმა ფანებმა „ლივერპულის“ ფრანგს კანის ფერი ცუდად უხსენეს. უეფას დელეგატს ეს არ გამოჰპარვია და ოქმში შეუტანია.

ფრანგმა ფორვარდმა „ლივერპული“ პირველ ტაიმში დააწინაურა და საკვალიფიკაციო მატჩებში მეოთხე გოლი მიითვალა. სისეს, შემდეგ კი ორჯერ მორიენტესს, საგოლე პასები სტივენ ჯერარდმა დაურიგა. ბულგარელებმა ვალიზარ დიმიტროვის თავურის წყალობით მხოლოდ ერთის გატანა შეძლეს. საპასუხო მატჩში ენფილდზე სასწაული ალბათ არ მოხდება და ჩემპიონთა თასის მფლობელი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. აქვე ვიტყვით, რომ „ლივერპულის“ მეკარე ირეკი დუდეკი ვარჯიშზე დაშავდა და სამთვიანი მკურნალობა გამოუწერეს. ცსკა-სთან კარში ხისე რეინა იდგა, რომელიც ყველანაირად შეეცდება ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას.

მილანის „ინტერი“ დაცვაში ისე იდგა, რომ ტოლდოს შემცვლელი ჟულიო სეზარი „შახტარის“ ფეხბურთელებს ახლოდან არ ანახა. პირველ ტაიმში თავად მილანელებიც მოიკოჭლებდნენ, შესვენების შემდეგ კი მარტინსმა და ადრიანომ თითო გოლი მიითვალეს. ამ მატჩში სანტიაგო სოლარის „ნათლობა“ შედგა, რომელმაც სამოსანივით ითამაშა და ზე მარიათი ამიტომაც შეცვალეს. ადრიანომ სწორედ ზე მარიას პასით გაიტანა.

„ვიცოდი, რომ რთული მატჩი გველოდა — თქვა რობერტო მანჩინიმ — პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ მეორეში თამაში გამოვასწორეთ. ორივე ფორვარდი კარგ ფორმაშია. ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან. გამოცდილებას შეიძენენ და უკეთესები გახდებიან. მთავარია, რომ გუნდური სული იგრძნობა და ყველანაირ ტაქტიკურ სქემებს ეს მორჩევნია“.

ბრემენის „ვერდერმა“ ბუნდესლიგის პირველ ტურში „არმინიას“ 5:2 მოუგო, მაგრამ „ბაზელი“ „არმინია“ არ არის, თილად რომ გადაურბინო. კრისტიან გროსის შეგირდები შესვენებამდე დაწინაურდნენ. ჩიპერფილდის დარტყმული ბურთი სტუმართა მეკარემ მოიგერია, მაგრამ დევიდ დეგენმა მიუსწრო და გაიტანა. მეორე ტაიმში კი შეცვლაზე შესულმა ხულიო ერნან როსიმ ანდრეას რაინკე გაამასხარავა — ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა — 2:0.

მიროსლავ კლოზემ შეხვედრის დასრულებამდე ჩვიდმეტი წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა შეამცირა და „ვერდერის“ შანსი საპასუხო მატჩისთვის გააუმჯობესა.

ჩემპიონთა თასის დებიუტანტმა „უდინეზემ“ უეფას თასის ფინალისტ „სპორტინგს“ ლისაბონში მოუგო. ბარეცოს წაქცევისათვის დანიშნული პენალტი იაკინტამ გამოიყენა.




სპორტინგი — უდინეზე. დაძაბული ბრძოლა ლისაბონში

AFP ლისაბონიდან

უდინელთა მწვრთნელ სერსე კოზმის რჩევები ჯოვანი ტრაპატინისგან მიუღია, რომელიც გასულ სეზონში „ბენფიკას“ თავკაცობდა და „სპორტინგის“ ავანჩავანი იცის. იტალიური კლუბის შემადგენლობაში ამ ზაფხულს შეძენილი ხუთი ახალი ფეხბურთელის დებიუტი შედგა და, როგორც ჩანს, კოზმიმ გუნდის აწყობა უკვე მოასწრო.

ლისაბონელებს ფაბიო როჩემბაკი აკლდათ. თამაშიც ამიტომ ვერ დაალაგეს მოედნის ცენტრში. შეხვედრის მიწურულს მაინც გაიტანეს გოლი, მაგრამ კარის ვაჩარასმა ოფსაიდის გამო გააუქმა.

„აიაქსის“ მცველ ჟულიენ ესკუდეს არ გაუმართლა — „ბრონდბიუსთან“ მატჩის ბოლო წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და დანიელებს ფრე გაატანა.

დენი ბლინდმა ძირითად შემადგენლობაში სამი ყმაწვილკაცი — რაიან ბაბელი, ურბი ემანუელსონი და მარკუს როზენბერგი — გაიწვია. მწვრთნელი არ შემცდარა, „ტრიომ“ საუცხოოდ ითამაშა, „აიაქსი“ კი ორჯერ დაწინაურდა. შვედეთის ნაკრების ფორვარდმა როზენბერგმა ოცდამეოთხე წუთზე გაიტანა და ამსტერდამელთა მაისურით პირველი გოლი მიითვალა. დანიელმა მორტენ სკუბომ მალევე გაათანაბრა. შესვენების შემდეგ სტუმართა რაიან ბაბელმა მოწყვეტილი დარტყმით „აიაქსი“ კვლავ დააწინაურა. შეხვედრის ბოლოს კი ჰოლანდიელებს მოგება საკუთარმა მცველმა ესკუდემ წაართვა.

„ანდერლეხტმა“ პრაღის „სლავიას“ მასპინძლობა არ აცალა და მეშვიდე წუთზე ბარტ გოორის გოლით დაწინაურდა. ჩეხები [illegible] მაშვარე მდგომარეობის შექმნას ცდილობდნენ და გოლიც [illegible] გაიტანეს. სტუმრებმა მალევე გაათანაბრეს ლუკაშ იაროლიმის საუცხოო დარტყმის წყალობით — მან მეკარე ზიტკას ბურთი თავზე გადააგდო და ბადეში ჩაგზავნა.

იაროლიმმა ლამაზი გოლი მოგვიანებით უხეშობით „გააფუჭა“, რასაც საჯარიმო დარტყმა და მბო მპენზას ზუსტი თავური მოჰყვა — 2:1.

„როზენბორგის“ ახალმა მწვრთნელმა მატიას ჰოგმომ ბუქარესტიდან ფრე წაიღო. „სტიაუა“ პირველ ტაიმში იაკობმა დააწინაურა, მეორე ნახევრის ბოლოს კი ტორსტეინ ჰელსტადმა გაათანაბრა, როცა რუმინელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა.

„თუნს“ შვედეთში „მალმოსთან“ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონთა ლიგამდე ნაბიჯიღა უკლია. შვეიცარიელებმა ადრიანო პიმენტას გოლით იმარჯვეს, „მალმოიმ“ კი რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. შვედეთა ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი მარკუს პოდე ორჯერ პირისპირ გავიდა სტუმართა მეკარესთან, მაგრამ ერთხელაც ვერ იხეირა. ბელგრადის „პარტიზანმა“ კი გლაზგოს „სელტიკის“ სლოვაკური კრახის ამბავი კარგად შეისწავლა და „პეტრჟალკას“ გოლი არ გაატანინა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მეფე მეფის პირისპირ

**ალბათ** ძნელი გამოსაცნობი არაა, დიეგო მარადონა ორშაბათს თავის სადებიუტო ტელეპროგრამაში („საღამო ათიანთან ერთად“) პირველ რესპონდენტად ვის მოიწვევს — არგენტინული „კანალ 13“-ის მაყურებელს 15 აგვისტოს პირდაპირ ეთერში ფეხბურთის ორი ხელმწიფის ხილვის სიამოვნება ელის. დიეგოს კამერის წინ სამასლაათოდ თვით პელე მიაკითხავს. შეგახსენებთ, რომ მარადონამ „ბოკა ხუნიორსის“ ვიცეპრეზიდენტობას ტელევარსკვლავობაც მშვენივრად შეუთავსა (სხვანაირად ვინძლო ამ დაუდგრომელ კაცს ცხოვრებაც არ შეუძლია) და ახლა ყოველ ორშაბათს თავის გადაცემაში სახელგანთქმულ ხალხს ისტუმრებს.

როგორც პატაგონიური გაზეთები გვაუწყებენ, ლეგენდარულ დიეგოს ბასრი შეკითხვებით მითიური პელეს შეცბუნება განუზრახავს და, ალბათ, „კანალ 13“-ის რეიტინგიც დაბალი ნამდვილად არ იქნება. „კლარინში“ ისიც კი წერია, ბოლოს და ბოლოს ამ ორი გიგანტის თუნდაც არასაფეხბურთო შერკინების ხილვა მოგვიწევს და გავარკვევთ, უფრო მაგარი რომელიაო. ერთი სიტყვით, ორშაბათი, 15 აგვისტო, მეფე მეფის წინააღმდეგ–

**ლადო ხომერიკი**

## ამხანაგური მატჩი

### 17 აგვისტო. ჰოლანდია — გერმანია

# კლინსმანმა კანი და ლემანი გაჰყარა



იენს ლემანი და ოლივერ კანი

**ოთხშაბათს** გერმანიის ნაკრები როტერდამის „დე კუიპზე“ ჰოლანდიას ამხანაგურად გაეჯიბრება. გუშინ კი ბუნდესმწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც საამმატჩოდ მოემზადებიან.

კლინსმანის რჩეულებში ამჯერად ვერ მოხვდნენ კონფედერაციის თასზე თავგამოჩენილი ახალგაზრდები, „ბაიერნის“ ნახევარმცველი ბასტიან შვაინსტაიგერი და „კიოლნის“ ფორვარდი ლუკას პოდოლსკი. „ნაციონალმანშაფტის“ თავკაცის თქმით, ეს ბიჭები ჩვეული ფორმისგან ჯერ შორს არიან და სწორედ ამიტომ შეიკავა თავი მათი ნაკრებში გამოძახებისგან. ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ შვაინსტაიგერს ხელი ტრავმამაც შეუშალა, დაშავებულმა ბასტიანმა ვერც ახალდაწყებული ბუნდესლიგის პირველ ტურში ითამაშა და, სავარაუდოდ, ვერც ამ უქმეებზე შეეშველება „ბაიერნს“ „ლევერკუზენთან“ ჯახში.

კანი თუ ლემანი? გერმანულ საფეხბურთო სამყაროში ამ პრობლემურ კითხვას კლინსმანმა ასე უპასუხა: ჰერ იურგენმა ამ ამბიციურ და ერთმანეთთან მოშუღარ მეკარეს ერთგვარი სათამაშო განრიგი დაუდგინა. ოლივერ კანი ბუნდესკარს ოთხშაბათს ჰოლანდიასთან მატჩში, 8 ოქტომბერს თურქეთთან და 12 ოქტომბერს ჩინეთთან შეხვედრებში დაიცავს. ხოლო იენს ლემანის 3 სექტემბერს სლოვაკეთთან, ოთხი დღის თავზე სამხრეთ აფრიკასთან და 12 ან 16 ნოემბერს საფრანგეთთან საკონტროლო თამაშებში მიეცემა თავის გამოჩენის შანსი. ამ ყველა შეხვედრაში კი შტუტგარტელი ტიმო ჰილდებრანდი სათადარიგოებას გასწევს.

**სოსო ქოტორაშვილი**

## გერმანია

*მეკარეები:* *ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი), ოლივერ კანი (ბაიერნი)*

*მცველები:* *არნე ფრიდრიხი (ჰერტა), ანდრეას ჰინკელი (შტუტგარტი), ტომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), რობერტ ჰუტი (ჩელსი), პერ მერტესაკერი (ჰანოვერი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი)*

*ნახევარმცველები:* *მიხაელ ბალაკი (ბაიერნი), ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), სებასტიან დაისლერი (ბაიერნი), ფაბიან ერნსტი (შალკე), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი)*

*თავდამსხმელები:* *ჯერალდ ასამოა (შალკე), მიროსლავ კლოზე (ვერდერი), კევინ კურანი (შალკე), ოლივერ ნოივილი (გლადბახი)*

# სერია A დროულად დაიწყება

**იტალიური** ფეხბურთის მამებმა როგორც იქნა, ყურები შეიბერტყეს და იმ კლუბების სია გამოაქვეყნეს, რომლებიც მომავალ სეზონში სერია A-სა და სერია B-ში ითამაშებენ. ითქვა ისიც, რომ ჩემპიონატის დაწყება არ გადაიდება და იგი სტარტს 28 აგვისტოს აიღებს. კალენდრის შედგენა კი 19-20 აგვისტოსთვის იგეგმება. თუმცა ყველაფერი მოგვარებული როდია. „ჯენოა“ მაინც არ ყრის ფარ-ხმალს და ყველანაირად ცდილობს, უმაღლეს ლიგაში ადგილი დაიბრუნოს. როგორც ამბობენ, შეიძლება, სერია A-ში 21 კლუბმა იასპარეზოს. ამის პრეცედენტი რამდენიმე წლის წინ სერია B-ში უკვე იყო.

მას მერე, რაც საბოლოოდ გაირკვა, რომ „ტორინო“, „პერუჯა“ და „სალერნიტანა“ ერთი ლიგით ქვეითდებოდნენ, ამ კლუბებს მოთამაშეები პანტაპუნტით ეცლებიან, ძირითადად თავისუფალი აგენტის სტატუსით.

*აქვე გთავაზობთ სერია A-სა და სერია B-ს კლუბების სიას. სერია A: „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „უდინეზე“, „სამპდორია“, „ლაციო“, „რომა“, „ფიორენტინა“, „ლეჩე“, „ლივორნო“, „ემპოლი“, „კიევო“, „კალიარი“, „მესინა“, „პალერმო“, „პარმა“, „სიენა“, „ტრევიზო“, „ასკოლი“, „რეჯინა“.*

*სერია B: „ატალანტა“, „ბოლონია“, „ბრეშა“, „არეცო“, „ალბინოლეფე“, „აველინო“, „ჩეზენა“, „ბარი“, „კატანია“, „კატანძარო“, „კროტონე“, „კრემონეზე“, „პესკარა“, „მანტოვა“, „მოდენა“, „რიმინი“, „პიაჩენცა“, „ტრიესტინა“, „ტერნანა“, „ტორინო“, „ვიჩენცა“, „ვერონა“.*

**გიორგი ქაქაბაძე**

# სონგის ძმისშვილი მეთოფეა



ალექსანდრ სონგი

**ლონდონის** „არსენალმა“ კამერუნელი ალექსანდრ სონგი „ბასტიადან“ ერთი წლით ითხოვა. 18 წლის მცველს ნახევარდაცვაში თამაშიც ეხერხება და შესაძლოა, პატრიკ ვიეირას ადგილიც დაიკავოს.

ალექსანდრ სონგი კამერუნის ნაკრების კაპიტან რიგობერტ სონგის ძმისშვილია. მან „ბასტიაში“ გასულ სეზონში 32-ივე მატჩში ითამაშა, მაგრამ კორსიკული კლუბი პირველი დივიზიონიდან გავარდა.

ახალგაზრდა კამერუნელი მცველი „არსენალს“ სეზონისწინა შეკრებაზე ავსტრიაში ახლდა. არსენ ვენგერი მისი გარჯით მოიხიბლა და კორსიკელებს ერთი წლით წაჰგვარა. „ბასტია“ 500 ათას ევროს მიიღებს, მაგრამ „მეთოფეებმა“ ფეხბურთელის შეძენა თუ მოისურვეს, 4 მილიონი ევრო უნდა გადაიხადონ.

კოლო ტურესა და ფილიპ სენდეროსის აღმომჩენი არსენ ვენგერის აზრით, მალე ალექსანდრ სონგიც მაღალი კლასის მოთამაშე გახდება.

**გაგა ხუციშვილი**

# რომან აბრამოვიჩი ვესტ ჰემსაც მისწვდა

**რომან აბრამოვიჩი** მალე ალბათ მთელ ინგლისურ ფეხბურთს იყიდის. „ჩელსის“ მილიარდელმა მეპატრონემ ფულიან ჯიბეში ალბიონური „ვესტ ჰემის“ ჩადებაც განიზრახა. საქმეში, აბრამოვიჩის ახლო მეგობარი და ბრაზილიური „კორინთიანსის“ ფინანსთა გამრიგე კირა ყურაბჩიანი ურევია — ლონდონელების აქციათა გარკვეული ნაწილი სწორედ ყურაბჩიანმა შეიძინა.

ამჟამად „ვესტ ჰემის“ აქციათა 36,6 პროცენტი კლუბის პრეზიდენტ ტერენს ბრაუნს ეკუთვნის. კია ყურაბჩანის და აბრამოვიჩის მხარე ცდილობს, დანარჩენი ნაწილის შესყიდვით გუნდი ხელში ჩაიგდოს“ — წერდნენ გუშინდელი ბრაზილიური გაზეთები. თავად აბრამოვიჩის კომპანიონმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

**ლადო ხომერიკი**





რომან აბრამოვიჩი და კირა ყურაბჩიანი

# არიგო საკი: ნუ დავკლავთ ფეხბურთელებს შობამდე!



**ახალი სეზონისთვის მადრიდის „რეალი" ავსტრიულ ირდნინგში ემზადება. „სამეფო კლუბის" სპორტული დირექტორი არიგო საკი გუნდის ყველა ვარჯიშს დაესწრო და ქვემორე ინტერვიუდანაც შეიტყობთ, ესპანეთში კმაყოფილი დაბრუნდა. ეს ინტერვიუ კი იტალიელ მაესტროს მადრიდულმა AS-მა ავსტრიიდან წამოსვლამდე ჩამოართვა.**

**— გუნდის არცერთი ვარჯიში არ გაგიცდენიათ, კმაყოფილი ხართ ფეხბურთელების მზადყოფნით?**

— ბიჭები ბეჯითად მუშაობენ, მეც და ლუშემბურგოც მოხიბლულნი ვართ მათი საქმისადმი პროფესიული მიდგომით.

**— ახალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად კონკურენცია ალბათ უფრო გამძაფრდება...**

— გეთანხმებით, ძირითადში ადგილი განაღდებული არავის აქვს, თან ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი — თუ ყველაფერი ჩვენი გეგმებისა და სურვილების მიხედვით წავიდა, სეზონში 65 მატჩის გამართვა მოგვიწევს, მხოლოდ 11 ფეხბურთელი კი ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვას ვერ შეძლებს. მერწმუნეთ, შობამდე ისინი გამოიფიტებიან და „დაიხოცებიან". ამიტომ ლუშემბურგოს შემადგენლობას ხშირი ცვლა მოუწევს.

**— ახალწვეულმა ბაპტისტამ როგორი შთაბეჭდილება დატოვა? ისე ჩანს, რომ მწვრთნელი მას მარცხენა ფლანგზე თამაშს უპირებს.**

— ბაპტისტა კარგი ადამიანი და ჩინებული ფეხბურთელია. ლუშემბურგოს ტაქტიკურ სქემაში მას მართლაც მარცხენა ფლანგზე ერგო ადგილი. „რეალი" ახალ სეზონში რომბისებული ნახევარდაცვით ითამაშებს, ფლანგებით, ერთი საყრდენით და ერთი შემტევი ნახევარმცველით.

**— კარგია, გუნდში ბევრმა ბრაზილიელმა რომ მოიყარა თავი?**

— ცხადია, კარგია. როცა „პარმას" ვთავკაცობდი, გუნდში ხუთი ბრაზილიელი მყავდა. „რეალის" ბრაზილიელები კი უმაღლესი დონის ოსტატები არიან. აქვე გეტყვით, რომ გაოცებული ვარ რონალდოს შრომისმოყვარეობით. ცალკე უნდა ვთქვა რობერტო კარლოსზე — ის ფენომენია. ჩემი აზრით, რობერტო მსოფლიოს საუკეთესო მარცხენა მცველია.

**— მალე რობინიოც შემოგიერთდებათ, რომლის ტრანსფერიც დიდ ნერვებისწყვეტად დაგიჯდათ...**

— მართლაც, მოლაპარაკებებმა დიდხანს გასტანა და დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა, თუმც საბედნიეროდ, მოვახერხეთ და დღეს რობინიო „რეალის" ფეხბურთელია. ის გუნდში სიხალისეს და სიახლეს მოიტანს.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ ჭაბუკ ბრაზილიელს ესპანურ პრიმერადივიზიონთან შეგუება გაუჭირდება.**

— არც არის გასაკვირი რობინიო ხომ ახალ კონტინენტზე, ახალ ქვეყანაში უნდა გადმოსახლდეს. სულ სხვა კულტურასთან მოუწევს ადაპტაცია და ცხადია, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. თუმც „რეალს" ჰყავს მწვრთნელი, რომელიც კარგად იცნობს რობინიოს და ზუსტად იცის მასთან როგორ იმუშაოს.

**— ზინედინ ზიდანი საფრანგეთის ნაკრებს დაუბრუნდა. „რეალისთვის" მისი კვლავ „გალურჯება" სასარგებლოა?**

— ზიდანს გასულ სეზონში ალმაფრენა და ენთუზიაზმი აკლდა. რადგან მან ნაკრებში თამაში გადაწყვიტა, ესე იგი, ზიზუს მოტივაცია დაუბრუნდა. ეს კი, დამეთანხმებით, „რეალს" კარგის მეტს არაფერს მოუტანს.

**— გუნდის დაკომპლექტება დაასრულეთ თუ კიდევ აპირებთ ფეხბურთელების დამატებას?**

— „რეალს" სატრანსფერო ბაზარზე აღარაფერი ესაქმება, ავსტრიულმა შეკრებამაც აჩვენა, რომ ყველა რგოლი დაკომპლექტებულია. დაცვაზე გეტყვით, მართალია, ვალტერ სამუელი გავყიდეთ, თუმც ივან ელგერა და ფრანსისკო პავონი ხომ გვყავს, ეს ბიჭები კი არავისზე ნაკლებნი არ არიან. ნუ დავივიწყებთ ჯონათან ვუდგეიტს, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ თანდათან იღდგენს ფორმას და, ვფიქრობ, ის „რეალის" საკვანძო ფეხბურთელი გახდება. და კიდევ ჭაბუკი არმელოა, ნიჭიერი და ფუტკარივით მშრომელი. იგი ამ სეზონშივე დაამტკიცებს, რომ „რეალის" მომავალია.

**— მაიკლ ოუენი მადრიდში რჩება? ინგლისელი მოწყენილი გვეჩვენა...**

— მაიკლი იშვიათად იღიმის, რადგან ის მშვიდი ადამიანია. მინდა, რომ იგი „რეალში" დარჩეს, მისი გამოცდილება და სავალე ალღო ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგება.

**— და ბოლოს, ლუიშ ფიგუზეც დაგეკითხებით. პორტუგალიელმა მადრიდი განაწყენებულმა დატოვა...**

— ასეა, ლუიში „რეალიდან" უკმაყოფილო წავიდა და პრესასთან საუბარშიც გაგვკენწლა. მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ ფიგუს მადრიდში ძალიან აფასებენ და მის ღვაწლს არასოდეს დაივიწყებენ. მისი გასხვისება ლუშემბურგოს ინიციატივა იყო და პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიც, მწვრთნელის ნების საწინააღმდეგოდ ვერ წავიდა.



რიკარდო ოლივეირა

# ოლივეირა ბეტისს ფულის გამო ტოვებს

**„ბეტისის"** ბრაზილიელმა ლეგიონერმა რიკარდო ოლივეირამ „მწვანეებს" ჩემპიონთა ლიგაზე მიღწეული სადებიუტო გამარჯვება ჩაუშხამა. გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას სევილიელთა მეგოლემ მოულოდნელად განაცხადა, რომ კლუბის თავკაცთა საქციელით უკმაყოფილოა და მალე გუნდს დატოვებს.

„პრობლემა ფულთანაა დაკავშირებული და თუ ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში არ გადაწყდა, სხვა გუნდის მოძებნა მომიწევს" — აღნიშნა რიკარდო ოლივეირამ.

ოკეანისგაღმელმა ფორვარდმა, რომელმაც „მონაკოსთან" ამასწინანდელი საჩემპიონთალიგო ჯახი კუნთის ტკივილის გამო გამოტოვა, მედიას ისიც აუხსნა, რომ „პრობლემა" ჯამაგირსა და კონტრაქტის რევიზიას არ ეხება: „ბეტისის" უფროსებმა თავიანთი სიტყვა არ შეასრულეს. ადრინდელი მოლაპარაკების თანახმად, გარკვეული თანხა უკვე რამდენიმე ხნის წინ უნდა მიმეღო, ფული კი დღესაც არ ჩანს...".

ბრაზილიელი ხვალ-ზეგ კლუბის პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერასთან შეხვედრას გეგმავს, სადაც, ცხადია, სევილიაში მის დარჩენა-არდარჩენაზე ილაპარაკებენ.

„გუნდის მწვრთნელ სერა ფერერს ჩემს ირგვლივ არსებულ სირთულეებზე უკვე ვესაუბრე. რაც შეეხება პრეზიდენტს, მასთან შეხვედრა რამდენჯერმე ჩაიშალა. თუ სენიორ ლოპერასთან საერთო ენა ვერ გამოვნახე, „ბეტისს" აუცილებლად დავტოვებ" — თქვა გულნატკენმა ბრაზილიელმა.

ანდალუზიურ გუნდს ადრე სხვა ოკეანისგაღმელებთან, დენილსონთან ჰქონდა სიძნელეები, რასაც ახლა „ოლივეირას საქმეც" დაემატა. შევახსენებთ, რომ „ბეტისს" (ოლივეირათი თუ მის გარეშე) შაბათს მრისხანე ბრძოლა ელოდება — სერა ფერერის მოწაფეები სუპერთასისთვის იმავე კატალონიურ „ბარსელონას" შეეჯახებიან.

**ლადო ხომერიკი**

# ვინ? სად? როდის?

## ინტერის გარშემო ისევ მითქმა-მოთქმაა

**იტალიური** „ინტერის" გარშემო სატრანსფერო ციებ-ცხელება გრძელდება. ესპანური „ესპანიოლის" ენდი ვან დერ მეიდესადმი ინტერესზე აქამდეც გაუწყეთ. კატალონიელები მზად არიან, ჰოლანდიელი ინათხოვრონ, მაგრამ მილანურ კლუბთან ფინანსურ დეტალებზე ჯერ ვერ თანხმდებიან.

როგორც იცით, „აიაქსის" ყოფილმა ნახევარმცველმა „ნერო ატურის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო და მთელი ზაფხულია ახალ კლუბს ეძებს. ლუიშ ფიგუს „ინტერში" გამოჩენამ კი მას საბოლოოდ გადააწყვეტინა წასვლა. გუნდის შვიდნომრიანი მაისურა, რომელიც აქამდე ვან დერ მეიდეს ეცვა, ახლა პორტუგალიელის საკუთრებაა.

„ესპანიოლის" გარდა ვან დერ მეიდეთი მეორე ესპანური კლუბი „ვალენსიაც" არის დაინტერესებული. საუბარია ინგლისურ გუნდებზე „ტოტენჰემსა" და „ევერტონზეც".

ისევ არ ცხრება ჭორები კრისტიანო ძანეტის „იუვენტუსში" შესაძლო გადასვლაზე. აპენინური პრესა იუწყება, რომ ფაბრიციო მიკოლისა და იგორ ტუდორის შემდეგ „ბებერი ქალბატონი" მილანელებს იტალიელ ნახევარმცველში მარსელო ზალაიეტას სთავაზობს, რაც თავდასხმაში „შავ-ლურჯების" პრობლემასაც მოაგვარებსო...

ამასობაში გამოირიცხა ფრანჩესკო კოკოს „ნიუკასლში" გადასვლის შანსი, რაც თითქოსდა გადაწყვეტილი ჩანდა. ახლა 28 წლის მცველს სხვა კლუბის ძიება მოუწევს.

„იტალიელებთან კონტრაქტის დეტალები ვერ შევათანხმეთ. ასე რომ, ტრანსფერი არ შედგება" — ნათქვამია „ნიუკასლის" ოფიციალურ ვებგვერდზე.

**გიორგი ძაძაგაძე**

### რუსეთი

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**ტორპედო 0:2 ცსკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ევერტონი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ფულემი-ბირმინგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | მიდლსბრო-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | არსენალი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | უიგანი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15116 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15117 | არმინია-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15118 | დორტმუნდი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15119 | ჰერტა-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15120 | ლაუტერნი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15121 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15122 | მაინცი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15123 | შტუტგარტი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | |
|---|---|---|
| 13001 | ევერტონი-მანჩესტერი | 1.70 -- 1.90 |
| 13002 | ფულემი-ბირმინგემი | 1.70 -- 1.90 |
| 13003 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 -- 1.90 |
| 13004 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1.70 -- 1.90 |
| 13005 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 1.70 -- 1.90 |
| 13006 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 1.70 -- 1.90 |
| 13007 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.70 -- 1.90 |
| 13008 | მიდლსბრო-ლივერპული | 1.70 -- 1.90 |
| 13009 | არსენალი-ნიუკასლი | 1.70 -- 1.90 |
| 13010 | უიგანი-ჩელსი | 1.90 -- 1.65 |
| 13115 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.60 -- 2.00 |
| 13116 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.60 -- 2.00 |
| 13117 | არმინია-ჰამბურგი | 1.60 -- 2.00 |
| 13118 | დორტმუნდი-შალკე | 1.60 -- 2.30 |
| 13119 | ჰერტა-აინტრახტი | 1.70 -- 1.90 |
| 13120 | კაიზერსლაუტერნი-დუისბურგი | 1.60 -- 2.00 |
| 13121 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1.60 -- 2.00 |
| 13122 | მაინცი-ვერდერი | 1.60 -- 2.00 |
| 13123 | შტუტგარტი-კიოლნი | 1.70 -- 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14001 | ევერტონი-მანჩესტერი | 2.10 -- 1.55 |
| 14002 | ფულემი-ბირმინგემი | 1.75 -- 2.00 |
| 14003 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.40 -- 2.30 |
| 14004 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1.90 -- 1.70 |
| 14005 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 1.70 -- 1.90 |
| 14006 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 1.70 -- 1.90 |
| 14007 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.70 -- 1.90 |
| 14008 | მიდლსბრო-ლივერპული | 1.90 -- 1.70 |
| 14009 | არსენალი-ნიუკასლი | 1.20 -- 2.60 |
| 14010 | უიგანი-ჩელსი | 2.50 -- 1.20 |
| 14115 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.65 -- 2.10 |
| 14116 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.75 -- 2.00 |
| 14117 | არმინია-ჰამბურგი | 2.00 -- 1.70 |
| 14118 | დორტმუნდი-შალკე | 1.90 -- 1.80 |
| 14119 | ჰერტა-აინტრახტი | 1.20 -- 2.60 |
| 14120 | კაიზერსლაუტერნი-დუისბურგი | 1.60 -- 2.30 |
| 14121 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1.90 -- 1.70 |
| 14122 | მაინცი-ვერდერი | 1.90 -- 1.65 |
| 14123 | შტუტგარტი-კიოლნი | 1.25 -- 2.30 |

## ფორის ბარიერი (ძირ. დრო)

| | | |
|---|---|---|
| 16001 | ევერტონი-მანჩესტერი | 2.50 -- 1.35 |
| 16002 | ფულემი-ბირმინგემი | 1.55 -- 1.95 |
| 16003 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.20 -- 2.90 |
| 16004 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1.80 -- 1.60 |
| 16005 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 1.60 -- 1.80 |
| 16006 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 1.60 -- 1.80 |
| 16007 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.55 -- 1.90 |
| 16008 | მიდლსბრო-ლივერპული | 1.80 -- 1.60 |
| 16009 | არსენალი-ნიუკასლი | 1.12 -- 3.80 |
| 16010 | უიგანი-ჩელსი | 4.30 -- 1.10 |
| 16115 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.40 -- 2.20 |
| 16116 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.55 -- 2.00 |
| 16117 | არმინია-ჰამბურგი | 1.90 -- 1.60 |
| 16118 | დორტმუნდი-შალკე | 1.80 -- 1.60 |
| 16119 | ჰერტა-აინტრახტი | 1.12 -- 4.20 |
| 16120 | კაიზერსლაუტერნი-დუისბურგი | 1.30 -- 2.60 |
| 16121 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1.80 -- 1.60 |
| 16122 | მაინცი-ვერდერი | 1.85 -- 1.60 |
| 16123 | შტუტგარტი-კიოლნი | 1.20 -- 3.20 |

## გოლი: ლუწი-1/კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | |
|---|---|---|
| 17001 | ევერტონი-მანჩესტერი | 1.85 -- 1.95 |
| 17002 | ფულემი-ბირმინგემი | 1.85 -- 1.95 |
| 17003 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 -- 1.95 |
| 17004 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1.85 -- 1.95 |
| 17005 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 1.85 -- 1.95 |
| 17006 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 1.85 -- 1.95 |
| 17007 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.85 -- 1.95 |
| 17008 | მიდლსბრო-ლივერპული | 1.85 -- 1.95 |
| 17009 | არსენალი-ნიუკასლი | 1.85 -- 1.95 |
| 17010 | უიგანი-ჩელსი | 1.85 -- 1.95 |
| 17115 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1.85 -- 1.95 |
| 17116 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.85 -- 1.95 |
| 17117 | არმინია-ჰამბურგი | 1.85 -- 1.95 |
| 17118 | დორტმუნდი-შალკე | 1.85 -- 1.95 |
| 17119 | ჰერტა-აინტრახტი | 1.85 -- 1.95 |
| 17120 | კაიზერსლაუტერნი-დუისბურგი | 1.85 -- 1.95 |
| 17121 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1.85 -- 1.95 |
| 17122 | მაინცი-ვერდერი | 1.85 -- 1.95 |
| 17123 | შტუტგარტი-კიოლნი | 1.85 -- 1.95 |

# ნაცნობებთან სულ სხვაა
## აგასიმ ტოლი ნახა, სწორი ვერა

**ROGERS MASTERS**
მონრეალი. მაგარსაფარი
საპრიზო 2,2 მილიონი $
**მეორე წრე**

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — რიკარდუ მელუ (ბრაზილია) 6:1 6:2; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:1 3:6 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 5:7 6:1 6:3; **გასტონ გაუდიო** (6, არგენტინა) — კენეტ კარლსენი (დანია) 3:6 6:2 7:5; **მარიანო პუერტა** (8, არგენტინა) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 3:6 6:3 6:4; **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — დავიდ ნალბანდიანი (9, არგენტინა) 7:6 7:1) 6:7 3:7) 6:3; **ტომი რობრედო** (11, ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 7:6 7:4) 7:6 8:6); **ქსავიე მალისი** (ბელგია) — ტომას იოჰანსონი (12, შვედეთი) 7:5 7:6 7:4); **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — რიშარ გასკე (15, საფრანგეთი) 7:6 7:5) 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:3; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:2 6:7 (2:7) 5:2 *სოდერლინგმა შეწყვიტა*; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ტაილორ დენტი (აშშ) 6:4 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 7:5 4:6 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3 4:6 6:0; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 4:6 6:4 7:6 7:2); **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ფლორან სერა (საფრანგეთი) 6:3 3:6 7:5

**მეცხრე** ნომრად განთესილი დავიდ ნალბანდიანის გავარდნას თუ არ ჩავთვლით, მონრეალური მასტერსის მეორე წრემ განსაკუთრებული მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. თუმცა ნალბანდიანსაც თავზე მეტი იყო, ჩოგანი არსად გაუნძრია და ამიტომ წინა სამ კვირაში ინდიანაპოლისურ, ლოსანჯელესურ და ვაშინგტონურ ტურნირებზე გარეული კაროლ ბეკთან რომ წააგო, ძალიან კი არა, საერთოდაც არ უნდა გაგვაკვირვოს.

ტურნირის სამგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ [illegible] განდაგანაში ხელის წაგებით, მაგრამ მაინც საღოლ აჯობა შვედ იონას ბიორკმანს. ეს მათი მეხუთე შეხვედრა გახლდათ და 35 წლის ამერიკელმა ორი წლით უმცროსი მეტოქეს მეხუთეჯერ მოუგო.

შესადარებლად შევახსენებთ, რომ აგასი კარიერის მე-19 სეზონს თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში 60 ტიტული მოიგო, თანაც ამ სამოციდან რვა დიდი მუზარადის ტურნირებზე იშოვა, ხოლო თავის მე-15 საკარიერო სეზონში მობურთავე ბიორკმანი საამომენტოდ 9 ტიტულს დაიკვეხნის.

„ეს ძალიან მაგარი იყო — აღნიშნა მერე აგასიმ — უჩვეულოდ სწრაფ კორტს ქარიც დაერთო და იონასიც ხომ ჯიშიანი მესწრაფკორტეა. „პერცოვს“ ნუ ახსენებ და ეგეთ საფარზე თამაშობს! მაგრამ მასთან ჩოგნობა ადრეც მაგრად მევასებოდა, რაკილა თავაზიანი და ზრდილი კაცია, ხოლო ახლა, როცა ამჟამად უცხო სახეს ვხედავ, ნაცნობებთან თამაში საერთოდაც სულ სხვა შეგრძნებას იძლევა.“

სხვაფრივ — წვიმის გამო მატჩის ხანგრძლივმა წყვეტილობამ ვერაფერი ვერ დაუკლო ტურნირის მთავარფავორიტ რაფაელ ნადალს, ვინაც პირველ წრეში რომ თანაკუნძულელი და გურუ-მეგობარი კარლოს მოია დანიშნა, ახლა უსახელო ბრაზილიელი რიკარდუ მელუ დაბრდღვნა.

თუკი ამ 19 წლის მალიორკელმა ფასკუნჯმა ეგრე გააგრძელა — და ჯერ-ჯერობით არ ჩანს, ასე რატომ არ უნდა მოხდეს — წლეულს ნაშოვნ რვა თიხნარტიტულს, რომელთა შორის როლანგაროსულიც ბროლიც ციაგებს — ეგებ კარიერის პირველი სამაგარსაფრო ჯილდოც მიათვალოს.

ყოველ შემთხვევაში, თავად რაფა თვლის, რომ ამ საფარზე ის ერთობ რიგიანად თამაშობს და, თუკი თავისას ბოლომდე მიაწევება, კვირის ბოლოს მორიგ განსხვავებულსაც გადაი-დოლარ-პიპინებს.

თუმცა მანამდე მას ჯერ კიდევ გრძელი გზა უძევს და ამ გზაზე მორიგი დაბრკოლების სახით გუშლამ გამოცდილი ფრანგის სებასტიან გროჟანის დინჯი, სტაბილური ბურთაობა უნდა გადაელახა.

ნადალთან დასაჯახებლად გროჟანმა ნადალისკბილა თვისტომი რიშარ გასკე ჩამოიცილა. რიშარს მონრეალობამდე თვის განმავლობაში უუქმა და ამიტომ იყო, ბოლო კვირებში მასზე მეტად გარჯილ თანამემამულეს სათანადო წინააღმდეგობა რომ ვერ გაუწია. თუმცა ურიგოდ მას ნაღდად არ უთამაშია და, ვინ იცის, პირველ სეტში 5:3 სამით დაწინაურებულს საქმე ბოლომდე რომ მიეყვანა, მისი და რაფას მორიგი შიდათინეიჯერული კეჭნაობაც გვეხილა. მაგრამ საქმეში აქაც წვიმა ჩაერთო და შეხვედრა სწორედ პირველი სეტის იმ, გადამწყვეტ მე-9 გეიმში შეწყვიტა. ნა-ორსაათნახევარ-წვიმევს კი უფრო გამოცდილმა გროჟანმა გასკეს მყისვე წაჰგვარა გეიმი, მერე თავის მოწოდებაზეც იმარჯვა და ჯამში აღარც მატჩის მოგება გასჭირვებია.

სხვაფრივ — წლეულს ხუთი თიხნარტიტულის მიმთვლელმა გასტონ გაუდიომ ვეტერანი დანიელის კენეტ კარლსენის დამორჩილება მხოლოდ მესამე სეტის უკანასკნელი გეიმის გატეხვითღა შეძლო. 19 წლის ჩეხ ტომაშ ბერდიხს ძლივს გადაურჩა მეხუთე ნომრად განთესილი რუსი ნიკოლაი დავიდენკო, ხოლო დღის ყველაზე გამორჩეულ შეხვედრაში კანადური წარმომავლობისა და 1995 წლიდან გაბრიტანელებულმა გრეგ რუზედსკიმ მისდარად ზორბა ბელარუს მაქს მირნის გადაუჯოკრა.

გამორჩეული კი მათი დაპირისპირება იმიტომ. იყო, რომ მძლავრი მოწოდების მქონე ამ ორსავე მეჩოგნეს უმთავრესად ბადესთან ბურთაობა ეხალისებათ და ეს კი — მადლიერო მკითხველო — ნაუკანახაზევ ბრახუნზე გადასულ თანამედროვე ჩოგბურთში სულ უფრო და უფრო იშვიათი სანახავი ხდება. ჰოდა, ამ იშვიათობაში უფრო მარჯვე რუზეცკი გამოდგა, რომელმაც ნამატჩევს ჟურნალისტებს ჩინებული ფრანგულით აუწყა ის მარტივი აზრი, რომ მესამე წრეში გასვლით უაღრესად კმაყოფილია.

დავამთავრებთ კი იმით, რომ მესამე წრის მიღმა დარჩა სექტემბერში მისაოცდაათოთხმეტწლისებელი შუშპარა მაროკოელი იუნეს ელ აინაუი, ვისაც მონრეალამდე წლეულს შვიდი მატჩი ეთამაშა და შვიდშიც დამარცხებულიყო და თავს იმით მაინც ინუგეშებს, რომ პირველ წრეში იქ ისეთ ღონიერ მემაგარსაფრე ესპანელს სძლია, როგორიც ფელისიანო ლოპესი გახლავთ.





რაფაელ ნადალი

**JPMORGAN CHASE OPEN**
კარსონი. მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $
**მეორე წრე**

**ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:4 6:4; **ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:4 6:3; **ნადია პეტროვა** (4, რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3 6:1; **კიმ კლაისტერსი** (5, ბელგია) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) 6:2 6:1; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — მარი პირსი (6, საფრანგეთი) *პირსს არ უთამაშია*; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — ანჯელა ჰეინსი (აშშ) 4:6 6:1 6:2; **დინარა საფინა** (12, რუსეთი) — რიკა ფუჯივარა (იაპონია) 6:2 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე** (13, იტალია) — შუაი პენი (ჩინეთი) 4:6 7:6 (7:1) 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:4 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (16, რუსეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 7:5 4:6 6:4 **მარიონ ბარტოლი** (17, საფრანგეთი) — ციან ციან სუნი (ჩინეთი) 6:7 (4:7) 6:3 6:1

**აშშ-ის** შარშანდელი ჩემპიონის სვეტლანა კუზნეცოვას სა-ამ-აშშ-ის-ღია- პირველობო საშხაღისი კვლავაც ბითურად გაგრძელდა — წინა კვირაში სანდიეგოში ადრეულეტაპზე მომავალ ფინალისტ აი სუგიამას მიერ გამოძევებულმა რუსმა ქალმა გომ ამ ჯერზე ვერაფერი გააწყო ბერძენი ელენი დანილიდუს წინააღმდეგ, რომელსაც წლეულს გამართული 26 შეხვედრიდან ოდენ 11 მოეგო და ჩვენს კლავიატურაზეც წამლადაც არ ამოტივტივებულა.

„დღეს ჩემი რიტმი ვერ ვიპოვე — სიაფანდზე იძახდა მერე კუზნეცოვა — უკეთესი იქნება, მეტს თუ ვივარჯიშებ და გონებას თუ მეტად მოვიკრებ.“

დანილიდუ კი ჯილა რუსის ამგვარი თვითგვემის ფონზე ნამატჩევს საკმაოდ ჩოგანდაჯერებულად გამოიყურებოდა, თუმცა არც ის უნდა დავიწყნოდა, რომ შეხვედრა უწინარესად სწორედ სვეტას ძალლთუმრავლესი შეცდომის წყალობით მოიგო.

სხვა კი რა გითხრათ. ძირითადად სწორედ იმათ იმარჯვეს, ვისაც უნდა ემარჯვა კიდეც. ერთადერთი, ვინმეს ეგებ შებერუბული კონჩიტა მარტინესის მიერ მარჯვე არგენტინელ ხისელა დულკოს გაიმასქნება გაჰკვირვებოდა, მაგრამ ეგეც — მხოლოდ თავიდან, თორემ მერე ისიც მიხვდებოდა, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო.

**ლევან ქელაურაძე**

# ევროპროტესტი
## ქართველებზე რომში იმსჯელებენ


ზურაბ ქიქოძის ფოტოები

**ფრენბურთის** ევროპის კონფედერაციას ახლახან მკაცრად დასჯილი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციისა და ქალთა ნაკრების საქმის გადახედვა-განხილვა კიდევ მოუწევს. ასე რომ იქნებოდა, ათიოდ დღის წინაც გაცნობეთ ფრენბურთელთა საგანგებო პრესკონფერენციის მიმოხილვისას. ამ დღეებში კი ქართულმა ფედერაციამ დანაპირები შეასრულა და სასჯელი გააპროტესტა.

უახლესი ინფორმაცია გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა შეგვატყობინა, თუმც მის კომენტარამდე სკანდალის მიზეზს ერთხელაც შეგახსენებთ. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველ ფრენბურთელ ქალებს 14 ივნისს შვედეთში უნდა ეთამაშათ და ვინაიდან საქართველოში შვედეთის საელჩო არაა, საქართველოს ... პრობლემების მოსაგვარებლად საფრანგეთის საკონსულოს მიმართეს. ამ უკანასკნელმა კი საქმე ისე გაწელა, ბოლოს გუნდის წასვლა აღარ მოესწრო. მოგვიანებით ევროპის კონფედერაციამ საქართველოს 0:3 წაგება ჩაუთვალა, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და ჩვენს ფედერაციას გვარიანი ფულადი ჯარიმის გადახდაც დააკისრა.

„მომხდარში რომ აბსოლუტურად უდანაშაულონი ვართ, საქმეში ჩახედულთაგან ამაში ეჭვი აღარავის ეპარება — გვითხრა გუშინ ლევან ახვლედიანმა — ჩვენი სიმართლის დასამტკიცებელი საბუთები პრესკონფერენციაზე წარმოვადგინეთ. ახლა კი ყველაფერი ეთარგმნეთ და ევროპისა და მსოფლიოს კონფედერაციებში გავაგზავნეთ. იმედია, ახლა მაინც დაგვიჯერებენ და ბოდიშს მოგვიხდიან. ჩვენ მათგან ამჯერად სასჯელის მოხსნას ვითხოვთ. საქმის განხილვა სავარაუდოდ 7-8 სექტემბერს რომში გასამართ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე მოხდება."


ლევან ახვლედიანი და ქართული ფრენბურთის სამართლის ეძებენ

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ფედერაცია გენერალს ჩააბარეს

**თბილისის** ჭიდაობის ფედერაცია გუშინ ახალმა თავკაცმა ჩაიბარა. ყოფილი თავმჯდომარე გურამ სალარაძე ვეტერანმა მოჭიდავემ, მსოფლიოს თასის მფლობელმა და მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონმა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილმა შეფმა, გენერალმა გივი ცვარეკიშვილმა შეცვალა. იგი ერთადერთი კანდიდატი იყო და დელეგატებმაც ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადეს.

თავმჯდომარეობიდან ყველაზე ადრე წასვლა გურამ სალარაძემ თავად გადაწყვიტა. თბილისის ფედერაციის თავკაცობის გარდა იგი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაშიც საქმიანობდა, თან ერთბაშად სამ მაღალ თანამდებობაზე. გარდა იმისა, რომ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, მოჭიდავეთა სათათბიროსა და ვეტერანთა საბჭოსაც ხელმძღვანელობს.

ახალ თავმჯდომარეს ახალი მოადგილეები ჰყავს — თემურ მანჯავარიანი და ნოდარ ხუციშვილი. ხოლო გენერალური მდივნობას ძველი ვლადიმერ იაშვილი გასწევს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



### სამი ერის ვარსკვლავები

# ჯორჯ გრეგანი
## ...დაიბადა ზამბიაში

**ის** დაიბადა ზამბიაში, მაგრამ ავსტრალიელთა უსაყვარლესი მორაგბეა. მას პატივს სცემენ გულშემატკივრები, როგორც ნამდვილ ლიდერს და პატივს სცემენ მეტოქეები, რადგანაც მოედანზე რაინდული ქცევით გამოირჩევა. მას არ უყვარს ჟურნალისტები და იშვიათად იძლევა ინტერვიუებს, სამაგიეროდ ხშირად ეკამათება მსაჯებს.

ჯორჯ გრეგანი ზამბიურ ქალაქ ლუსაკაში 1973 წლის 19 აპრილს დაიბადა, თუმც საეჭვოა, რომ სამშობლო ახსოვდეს. ერთი წლის იყო, მშობლებმა ავსტრალიაში რომ წამოიყვანეს და პატარა ჯორჯმა მთელი ბავშვობა კანბერაში გაატარა.



სანამ 1994 წელს „ვოლაბთა" ნაკრებში მოხვდებოდა, ჯორჯს ავსტრალიის 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია. 1997 წელს „ვოლაბთა" ვიცე-კაპიტნის საპატიო „თანამდებობა" ერგო, 2001 წლიდან კი კაპიტანი გახდა. მოდით, გრეგანის ბავშვობას დავუბრუნდეთ, მისი კარიერის სათავეებს.

სკოლის დასრულების შემდეგ ჯორჯმა „წმინდა ედმუნდის სახელობის კოლეჯში" განაგრძო სწავლა და 1994 წელს ეს სასწავლებელი ბაკალავრის ხარისხით დაასრულა. კარგი მოწაფე იყო თუ ცუდი, ამას კოლეჯის ადმინისტრაციისათვის ალბათ დიდი მნიშვნელობა არც ჰქონია. სპეციალობაც არ აურჩევია ისეთი, რასაც მისი სპორტისკენ მომართული გონება ვერ დაძლევდა — ფიზიკური აღზრდის კურსი გაიარა, მაგრამ მისი სტუდენტური მოღვაწეობისას მთავარი ის იყო, რომ კოლეჯის გუნდში რაგბის თამაშობდა და თანაც იმდენად კარგად, რომ სასწავლებლის დამთავრებისთანავე ახალგაზრდულ გუნდში გამობრძმედილს ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში უკრეს თავი.

ბალიმორში იტალიის წინააღმდეგ თამაშისას გრეგანმა პირველად მოირგო „ვოლაბთა" მაისურა. იმავე წელს ავსტრალიელებმა დასავლეთ სამოას ნაკრებს 73:3 მოუგეს და ჯორჯმა იმ თამაშში პირველი სანაკრებო ლელო მიითვალა.

ზე-თორმეტის ტურნირზე ჯორჯ გრეგანი „ბრამბიზის" ღირსებას იცავს. 1997 წელს ის სულაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.



ჯორჯი ყოველთვის გამორჩეული იყო მოედანზე. მაგალითად, 1994 წელს, როდესაც მისი სანაკრებო კარიერა ახალი დაწყებული იყო, ავსტრალიის დაუმარცხებელი მეტოქეები, ახალზელანდიელები ბლედისლოუს თასს აუცილებლად დაეპატრონებოდნენ, ახალბედა გრეგანს მატჩის ბოლო წუთებში ლელოს გასატანად შემართული ჯეფ უილსონი ზედ ჩათელის მოედანთან რომ არ შეეჩერებინა.

ბლედისლოუს თასი ავსტრალიელებმა 1998 წელსაც მოიგეს. მაშინ გრეგანი უკვე ვიცე-კაპიტნის რანგში მოგვევლინა. 1999 წელს კი „ვოლაბთა" გუნდთან ერთად იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 2001 წელს ცოცხალ ლეგენდად ქცეულმა ჯონ ილზმა, ავსტრალიელთა იმდროინდელმა კაპიტანმა თამაშს თავი დაანება და იმავე წლის 10 სექტემბერს ჯორჯ გრეგანი გუნდის ახალ კაპიტნად აკურთხეს. ერთი წლის შემდეგ ავსტრალიელებმა კვლავ მოუგეს ახალზელანდიელებს ბლედისლოუს თასი, 2003 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გრეგანი ძალიან ახლოს იყო იმასთან, რომ კაპიტნის რანგში პირველად, კარიერაში კი მეორედ მოეპოვებინა მსოფლიოს თასი. მაშინ ეს საქმე ინგლისელი ჯონი უილკინსონის საარაკოდ ძლიერმა ფეხმა ჩაშალა.

მიუხედავად ამისა, ტიტულები და ჯილდოები მას ნამდვილად არ აკლია. გარდა ზემოხსენებული წარმატებებისა, ჯორჯს ზე-12-ში ორჯერ უპირველია, 2001 და 2004 წლებში. ავსტრალიის ნაკრების ისტორიაში არ არსებობს მოთამაშე, რომელსაც მასზე მეტი თამაში ჩაეტარებინოს.

2001 წელს მას მიანიჭეს „რაგბის მედალი" მოედანზე და მის გარეთ ბრწყინვალე პიროვნული თვისებების გამოვლენისათვის.

ჯორჯ გრეგანს უყვარს სიწყნარე, ცდილობს, ტელეკამერებსა და მომაბეზრებელ ჟურნალისტებს თავი დააღწიოს და მეუღლე ერიკასთან განმარტოვდეს. თავისუფალ დროს თხილამურებზეც დგას და გოლფსაც თამაშობს, არის გურმანი და აფასებს კარგ ღვინოს. 2004 წელს ჯორჯს მაინც მოუწია ჟურნალისტების მოხმობა და მათი მეშვეობით მსოფლიოს საწუხარო ამბავი აუწყა: მის 4 წლის ვაჟიშვილს ეპილეფსია აღმოაჩნდა.

„ეპილეფსიით ავსტრალიაში 400 ათასი ადამიანია დაავადებული. არავინაა ამ სენისგან დაზღვეული და მე შევიტყვე, რომ მან ჩემს შვილსაც დარია ხელი. ამ ამბავმა მეილება შეგაძრწუნოთ, მაგრამ ერთადერთი, რაც შემიძლია, გითხრა ის არის, რომ მარტო არავინ არ უნდა იყოს ეპილეფსიასთან ბრძოლაში" — თქვა ჯორჯ გრეგანმა და ამ საშინელ სენთან საბრძოლველად საქველმოქმედო ფონდი ჩამოაყალიბა, რომელსაც „თავად ჯორჯ ჩანს" ჰქვია. თავისი ხელფასის დიდ ნაწილს კი ეპილეფსიის კვლევითი ცენტრების საღარიბეში რიცხავს.

**ლადო ფულუკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო






# მამის აკიდებული ტომარა

**ამერიკაში**, ოჰაიოს შტატში, არის პატარა ქალაქი, რომელსაც ჰქვია ილირია და რომელიც სხვა პატარა ქალაქებისგან იმით არის გამორჩეული, რომ სწორედ აქ მოიგონეს ველოსიპედის რბილი სკამი და გოლფის ფერადი ბურთი.

ახლა ილირიას კიდევ ერთი მიზეზი აქვს საამაყოდ: მსოფლიოს ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში ტაიანა მედისონი.

6.89 მეტრზე გადახტომით 19 წლის ამერიკელმა ჩამოიტოვა მასზე აღიარებული სპორტსმენები, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ტატიანა კოტოვა და მსოფლიოს წინა ჩემპიონატის გამარჯვებული უნის ბარბერი.

მოდი, ნუ დავმალავთ იმ ამბავს, რომ 6.89 მეტრი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე მოკლე ოქროს ნახტომია, მაგრამ მეორე მხრივ არც ისაა დასამალი, რომ ასეთი ავდარი წინა ცხრა ჩემპიონატის გამარჯვებულებს არ დატყდომიათ თავს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონობამდე ტაიანა მედისონს ყველაზე დიდი შეჯიბრება, აშშ-ის კოლეჯთა ჩემპიონატი ჰქონდა მოგებული. პლუს, 6.89 მეტრი რა საკვირველია, მისი პირადი რეკორდი გახლდათ.

ახლა ტაიანა მედისონი დიდი დილემის წინაშე დგას. თუ იგი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის გამოყოფილ პროფესიულ პრემიას, 60 ათას დოლარს აიღებს, მაშინ ტენისის უნივერსიტეტისთვის თავის დანებება მოუხდება.

„მე პროფესიონალი სპორტსმენების გარემოცვაში ვცხოვრობ და ამიტომაც ვარ საგონებელში. არ ვიცი, როგორ მოვიქცე: ერთი მხრივ გავიმარჯვე და გახარებული დამსახურებული პრემიის აღება მსურს, მაგრამ მეორე მხრივ ამის გამო შესაძლოა უნივერსიტეტში სწავლის უფლება დავკარგო" — ამბობს ჩემპიონი, რომლისთვისაც სპორტსმენის ცხოვრება აკადემიურ განათლებას ასე აშკარად სულაც არ სჯობს.

ტაიანა მედისონი თავიდან მძლეოსნობაზე სულაც არ იყო გადარეული. იგი კალათბურთსა და ფრენბურთს თამაშობდა თავგამოდებით, მაგრამ 1987 და 1991 წლების მსოფლიოს ჩემპიონის, ჯეკი ჯოინერ კერსის შემყურემ ყველაფერი დაივიწყა და სარბენ ბილიკზე გავარდა. მის კარგ ათლეტად ჩამოყალიბებაში კი მამას მიუძღვის დიდი წვლილი. აი, რას ამბობს ტაიანა მამამისზე:

„პირველმა სწორედ მამაჩემმა მითხრა, რომ ხტომისას მეტისმეტად რბილი ვიყავი და აგრესია მაკლდა. სწორედ მან წამიყვანა დარბაზში, სადაც მძიმე ჩანთა ჩამომკიდა და ჩემში ძალისა და აგრესიულობის განვითარებაზე დაიწყო მუშაობა."



# მოსაწყენი ადამიანი

**მწვერვალზე** ასვლა ძნელი საქმეა, მაგრამ იქ დარჩენა კიდევ უფრო ძნელი გახლავთ. ამიტომაც, შესაძლოა, მოსაზრება, რომელსაც ახლა მოგახსენებთ საკამათო იყოს, მაგრამ მაინც გეტყვით: 400 მეტრზე სირბილში ბაჰამელმა ტონიკ უილიამს-დარლინგმა წლეულს უფრო საგმირო საქმე ჩაიდინა, ვიდრე შარშან, ათენის ოლიმპიადაზე. ამასთან, 27 წლის უილიამს-დარლინგმა ამ გარბენში აჯობა ისეთ ძლიერ კონკურენტებს, როგორებიც არიან ამერიკელი სანია რიჩარდსი და მსოფლიოს მექსიკელი, აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი ანა გევარა.

„მინდა ვთქვა, რომ ოლიმპიადის მოგება და ამ დიდი წარმატებიდან ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება დიდი ცხოვრებისეული გამოცდა და მისი ბრწყინვალედ ჩაბარება იყო — განაცხადა ოქროსმედალოსანმა — დღეს როგორც ჩემთვის, ასევე მთელი ბაჰამასთვის ნამდვილად ისტორიული დღე გახლდათ. ჩვენ ეს შევძელით. ძალიან ძნელია, მით უფრო ოლიმპიური წარმატების შემდეგ ყოველდღიური მუშაობა და საჩემპიონოდ მზადება იმ შეჯიბრებისთვის, რომელიც შინაარსით ჯეკპოტს ჰგავს. ოლიმპიადის შემდეგ ადამიანი სხვანაირი ხდები..."

საინტერესოა, რატომ აქვს ჩემპიონს ორმაგი გვარი და ვის მიუძღვნა მადლობა ოქროს მედლით მკერდის დამშვენების შემდეგ.

დარლინგი მეუღლის გვარია. მეუღლე ბაჰამელი 400 მეტრზე მორბენალი დენის დარლინგი გახლავთ და ცხადია, ტონიკ უილიამსი მისი მადლობელია, ისევე, როგორც ოჯახის სხვა წევრებისა და ქომაგების, მაგრამ ყველაზე მეტად იგი ქრისტიანულ რწმენას ემადლიერება.

„ვირჯინიაში, ჰემპტონის ეკლესიას ვეკუთვნი. ბაპტისტი გახლავართ — ამბობს ჩემპიონი — და ჩემი წარმატება მთლიანად ღვთის რწმენაზეა დაფუძნებული, ვეყრდნობი უფალს და ვიცი, რომ ის მეხმარება. მედალს და სხვა ასეთ რამეებს მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. აქ მთავარია ის, რომ მე მწამს ქრისტეს დახმარებითა და რწმენით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი."

შემდეგ პირმშვენიერ გამარჯვებულს ჰკითხეს, თუ როგორ აპირებდა იმავე საღამოს მსოფლიოს ჩემპიონობის აღნიშვნას, რაზეც მან ღიმილით უპასუხა:

„როგორ ვიზეიმებ? როგორ და ერთს ვემრიელად გამოვიძინებ, რადგან შეჯიბრების წინ თვალის მოხუჭვა არ შემიძლია. საერთოდ, საკმაოდ მოსაწყენი ადამიანი გახლავართ და ამიტომ ჩემგან თავაწყვეტილი დროსტარების ამბებს უბრალოდ ნუ ელით."

# მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო

HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships

# საქარე ბიჭი



ჰოდა, რა გასაკვირია, ესტონელ შუბის მტყორცნელს ანდრუს ვარნიკს ჰელსინკის „ოლიმპიურ სტადიონზე" შეკრებილი მთელი საზოგადოება თავგამოდებით რომ უჭერდა მხარს.

„სტადიონზე ფეხი რომ შევდგი ძლიერი ქარი ვიგრძენი და მაშინვე ვთქვი, რომ ამ დღეს ბევრთაგან ფავორიტი ორი იქნებოდა, დაბალი და ტემპერამენტიანი ვარნიკი და რუსი სერგეი მაკაროვი, რომელიც ზოგადად ძლიერი შუბის მტყორცნელია. ვარნიკის ასხმულობა და ტემპერამენტი სწორედ რომ მისწრება გახლდათ ასეთ ამინდში." — განაცხადა ინგლისელმა სტივ ბეკლიმ, რომელმაც ამავე სტადიონზე, 1994 წელს, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ბეკლიმ განაგრძო: „სამაგიეროდ მქონდა ორი ეჭვიც. შედარებით სუსტი აგებულების გამო ქარში პირველი კატეგორიის ფავორიტებად არ მივიჩნევდი ოლიმპიურ ჩემპიონს ანდრეას თორკლიდსენსა და ტერო პიტკამაკის. ფინელთან დაკავშირებით მართალი გამოვდექი, იგი ცოტა გამოუცდელიცაა და შესაბამისად სამეულს გარეთ დარჩა, ხოლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩემი ეჭვის მიუხედავად საყოველთაოდ დაამტკიცა, რომ უდიდეს სიმაღლეებს ტყუილად არ იპყრობს."

მსოფლიოს ჩემპიონის მენეჯერი აივარ კაროტამი: „საერთოდ, ჰელსინკიში ანდრუსის ყველაზე დიდი პრობლემა „ოლიმპიური სტადიონის" ზედაპირთან შეგუებაა. მას სწორედ ამის გამო გაუჭირდა ივლისში, „გრან პრიზე", სადაც მხოლოდ და მხოლოდ მეცხრე ადგილზე გავიდა და იყო საშიშროება, რომ ამჯერადაც იგივე მოხდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ გადავრჩით და ვარნიკი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა."

**რომ** ღამდება — თუ ღამდება — ტალინიდან ჰელსინკის სინათლეები მოჩანს. შეეულმფრენი ესტონეთის დედაქალაქიდან ფინეთისაში ათ წუთში ჩადის. ბევრი ჰენსილკელი ტალინში მუშაობს და საერთოდაც შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთში ყველაფერი ფინურია იდეებით დაწყებული ასანთით დამთავრებული. მეტსაც გეტყვით, წაგვიკითხავს, რომ მავანთ ჰელსინკისა და ტალინის ტალსინკად გაერთიანების იდეა მოსვლია და ამაზე თურმე მართლა ფიქრობენ, ის კი არა და შესაძლოა მუშაობენ კიდაც.



# თავიდან იყოყმანა, ბოლოს აღარ უყოყმანია

**დეკატლონისტთა** შეჯიბრება რომ დაიწყო — ეს ამბავი კი სამშაბათს მოხდა — ბრაიან კლეის ნამდვილად არ ეგონა, მთელ მსოფლიოში ყველას თუ ჩამოიტოვებდა, მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა, პროცესები თავისებურად განვითარდა და საბოლოოდ კვარცხლბეკზე, ყველაზე მაღლა სწორედ კლეი ავიდა და არა ვინმე სხვა.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მოვდიოდი საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ნამდვილად არ გახლდით. უბრალოდ ერთი ამბავი მეორეს ისე მიეწყო და შემდეგ მეორეს მესამეც ისე მიჰყვა, რომ ბოლოს ოქრო მე დამრჩა."

ასე და ამგვარად ოლიმპიური ვერცხლის მფლობელმა ამერიკელმა 8732 ქულა დააგროვა და 211 ქულით აჯობა ჩეხ რომან სებრლეს — ათენის ოლიმპიადის გამარჯვებულს ანუ მის შარშანდელ მძლეველსა და ახლო მეგობარს.

„ძალიან კმაყოფილი ვარ ყველაფერი ბოლომდე, რომ გავიარე. ედმონტონისა და პარიზის შემდეგ, შეჯიბრების ბოლომდე გავლა ჩემთვის საგანგებო მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ. მერედა, ვერცხლის მედლები მომბეზრდა."

შეჯიბრების ორ წვიმიან დღეში კლეიმ სამი პირადი რეკორდი დაამყარა: ბარიერი 16 მეტრზე ჰკრა, 400 მეტრი 47,78 წამში გაირბინა და შუბი 72 მეტრზე ტყორცნა.

„400 მეტრზე წარმატებით გამოსვლამ უკვე საბოლოოდ ჩამინერგა რწმენა, რომ საბოლოო გამარჯვება მე დამრჩებოდა, მანამდე კი ვმარჩიელობდი და საკუთარ თავს რაც მოხდება მოხდებათი ვამშვიდებდი."

სხვათაშორის კლეის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ათენის ოლიმპიადის შემდეგ ძალიან ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ მაისში, ავსტრიაში, დეკატლონის ყოველწლიურ ფესტივალზე შუბის ტყორცნისას ნეკნი გაიბზარა, რამაც კალაპოტიდან ბუნებრივია ამოაგდო.

„ტრავმის შემდეგ ძველებური ინტენსივობით ველარ ვვარჯიშობდი და მინდა გითხრათ, რომ არც ახლა ვარ საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში, მაგრამ საწყისი ყოყმანის მიუხედავად საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მენტალურად ვიბრძოლე კარგად" — დააგვირგვინა გამარჯვებულმა.

# რამზი და მისი სამშობლოები

**შარშან,** რომში, TDK-ს „გოლდენ გალაზე" ძალიან უცნაური ამბავი მოხდა — გარბენი მაროკოელმა მოიგო, მაგრამ ის ჰიშამ ელ გურუჯი არ იყო.

დაგვეთანხმებით, სენსაციაა. მეტიც, იმ დღეს ელ გურუჯი მერვე ადგილზე გავიდა, ხოლო გამარჯვებულს, რომელიც როგორც მოგახსენეთ მაროკოელი იყო, ბაჰრეინელი ეწერა — არადა რაშიდ რამზი წარმოშობით ნამდვილი მაროკოელია.

ერთი სიტყვით, რომში ბოლო ოთხ წელიწადში პირველად, 1500 მეტრზე სირბილში ელ გურუჯიმ არ მოიგო და... ამით საფუძველი ჩაეყარა იმას, რაც ახლა მოხდა ჰელსინკიში — მსოფლიოს ჩემპიონი რამზი გახდა. მოგეხსენებათ, ამ შეჯიბრებაში ელ გურუჯი უბრალოდ არ მონაწილეობდა, ისევე, როგორც არ მონაწილეობდა ბერნარ ლაგატი. ასე და ამგვარად, 25 წლის რამზიმ თავი დაადო და გაიმარჯვა.

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ რატომ არის მაროკოელი კაცი ბაჰრეინელი. იმიტომ, რომ ბაჰრეინის ჯარში წავიდა, თუმცა მაგ ხალხის გაგება ცოტა ძნელია — მწვრთნელად ისევ ძველი მაროკოელი მასწავლებელი ხალიდ ბულამი ჰყავს და ძმაკაცობითაც მაროკოელებთან ძმაკაცობს. აი, ამჯერადაც, ჩემპიონი რომ გახდა მეორეზე გასულ მაროკოელ ადილ კაუჩისთან ერთად იზეიმა.

„ეს მედალი ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია" — განაცხადა მან,



ოლონდ რომელი ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია ვთქვათ. ჩვენი ვარაუდით ბაჰრეინზეა ლაპარაკი.

**10 აგვისტო**

**შუბის ტყორცნა კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ანდრუს ვარნიკი (ესტონეთი) | 87,17 |
| 2 ანდრეას თორკილდსენი (ნორვეგია) | 86,18 |
| 3 სერგეი მაკაროვი (რუსეთი) | 83,54 |

**სიგრძეზე ხტომა ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ტაიანა მედისონი (აშშ) | 6,89 |
| 2 ტატიანა კოტოვა (რუსეთი) | 6,79 |
| 3 უნის ბარბერი (საფრანგეთი) | 6,76 |

**400 მ ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ტონიკ უილიამს-დარლინგი (ბაჰამა) | 49,55 |
| 2 სანია რიჩარდსი (აშშ) | 49,74 |
| 3 ანა გევარა (მექსიკა) | 49,81 |

**1500 მ კაცები**

| | |
|---|---|
| 1 რაშიდ რამზი (ბრუნეი) | 3:37.88 |
| 2 ადილ კაუჩი (მაროკო) | 3:38.00 |
| 3 რუი სილვა (პორტუგალია) | 3:38.02 |

**დეკატლონი კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ბრაიან კლეი (აშშ) | 8732 |
| 2 რომან შებრლე (ჩეხეთი) | 8521 |
| 3 ატილა ჟივოცკი (უნგრეთი) | 8385 |

**11 აგვისტო**

**ჭოკით ხტომა კაცები**

| | |
|---|---|
| 1 რენს ბლომი (ჰოლანდია) | 5,80 |
| 2 ბრედ უოკერი (აშშ) | 5,75 |
| 3 პაველ გერასიმოვი (რუსეთი) | 5,65 |

**სამხტომი კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ვალტერ დევისი (აშშ) | 17,57 |
| 2 იოანდრი ბეტანსოსი (კუბა) | 17,42 |
| 3 მარიან ოპრეა (რუმინეთი) | 17,40 |

**ბადროს ტყორცნა ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ფრანკა დეიტცში (გერმანია) | 66,56 |
| 2 ნატალია სადოვა (რუსეთი) | 64,33 |
| 3 ვერა პოსპიშელოვა-ჩეხლოვა (ჩეხეთი) | 63,19 |

**100 მ თარჯრბენი ქალები**

| | |
|---|---|
| 1 მიშელ პერი (აშშ) | 12,66 |
| 2 დელორენ ენის-ლონდონი (იამაიკა) | 12,76 |
| 3 ბრიგიტ ფოსტერ-ჰილტონი (იამაიკა) | 12,76 |

**200 მ კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ჯასტინ გატლინი (აშშ) | 20,04 |
| 2 უოლეს სპირმონი (აშშ) | 20,20 |
| 3 ჯონ კეპელი (აშშ) | 20,31 |




AFP ბალტუსროლიდან

# შენ რა მაგარი ხარ, ჯეკ!

გოლფში თუ ერკვევით, მაშინ ამ კაცის პროფესიული აღწერა გჭირდებათ. კერძოდ, სათქმელია, რომ მას PGA-ს ხუთი ჩემპიონატი აქვს მოგებული, აქედან ორი ქალაქ ბალტუსროლში (1967 და 1980 წლებში), სადაც, როგორც ხედავთ, მის საპატივცემულოდ საპატიო დაფა გამოაკრეს. სათქმელია ისიც, რომ მან ორივე შემთხვევაში ქულათა სარეკორდო რაოდენობა დააგროვა და ასე შემდეგ. მოკლედ კი, ჯეკ ნიკლაუსი თავის დროზე ძალიან მაგარი იყო.

# მიდი, ლია!

პერტში კალათბურთობაა გაჩაღებული. ჩინეთი ავსტრალიას ეთამაშება და უტევს — ხომ ხედავთ, ნან ლია რა დღეშია, მეტიუ ნელსონს მისი გაჩერება უჭირს.



AFP პერტიდან



AFP ნიუ იორკიდან

# დიდი ბეისბოლი

მარჯვნივ „ჩიკაგო უაით სოქსზის“ ხუან ურიბე გასრიალებულა, მარცხნივ კი „ნიუ იორკ იანკის“ ალექს როდრიგესი ჩალიჩობს თავისას. აი, ასე იქცევენ თავს მსოფლიოს დედაქალაქ ნიუ იორკში.

# მიდი, შე ტერო!

ფორმულა 1-ის ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი მშობლიური ჰელსინკის სამძლეოსნო სარბიელზე მისულა და თანამემამულე შუბის მტყორცნელ ტერო პიტკამაკის ამხნევებს. პიტკამაკი მეოთხე ადგილზე გავიდა.



AFP ჰელსინკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მეგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge